№ 2930
ოთხშაბათი
12 ოქტომბერი

ცნობის ფურცელი

№ 2930
ოთხშაბათი
12 ოქტომბერი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამხ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს. —პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-“Моамбе“. ტელეფონი № 372.

შეკერილ ტანისამოსის
ახლად გახსნილ მაღაზიაში
„ექსელანს“ გოლოვინის პროს., ტფილისის საკრებულოს ქვეშ, სახლი მანთაშევისა.
არის
დიდძალი კაცის, ქალის და ბავშვის ტანისამოსი, ფორმის ტანისამოსი ყველა სასწავლებლის და სამოქალაქო დაწესებულებისა. შეიძლება შეკვეთა კაცისა და ქალის ტანისამოსისა. განუწყვეტლივ მოგვდის ყველაფერი, რაც ახალია ბერლინისა, პარიზისა და მოსკოვის სავაჭრო სახლიდან.

მ. და ი. მანდლ

მიიპოვება ყოველ გვარი საქონელი საზღვარ-გარეთის და რუსის ქარხნებისა. მთელი მასალა, დამზადებული საკუთარ ქარხანაზე ადესაში, შემლებას აძლევს „ექსელანს“-ის მაღაზიას მეტად იაფი ფასები დანიშნოს.

საქონლის ყიდვა შეუვაჭრებლად

„ექსელანსის“ მაღაზიას სრული იმედი აქვს, რომ ტფილისის პატივცემული საზოგადოება პირადად მობრძანდება და გაიცნობს ყველაფერს.
(50—6.—9)

№ 3 **ქართული წარმოდგენა სახაზინო თეატრში** **პირველი აბონიმენტი**
ხუთშაბათს, 13 ოქტომბერს 1905 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ
ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება **პირველად ახალი პიესა**

I
მამა
ტრაგედია 3 მოქმ. ა. სტრინდბერგისა,
თარგმანი თ. ხუსკივაძის მიერ.

II
ბებრის საღერღელი
ვოდევილი 1 მოქმ. მაზურკევიჩისა
თარგმანი დ. აწყურელისა

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, დ. ივანიძე, ა. კარგარეთელი, მ. მდივანი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, შ. დადიანი, კ. ყიფიანი, ზ. საფაროვი, კ. შათირიშვილი, ვ. ურუშაძე.

წარმოდგენა დაიწყება საღამოს 8 საათზედ

ადგილების ფასი: ლოჟები 2 მ.-დან 10 მ.-მდე, ბალკონი 60 კ.-დან 75 კ.-მდე, ამფითეატრი 1 მ. გალერეია 25 კ.-დან 35 კ.-მდე. მოსწავლეთათვის ადგილები ლოჟებში 40 კაპ.

მზადდება წარმოსადგენად: „სულით ობოლი“, „შით თავადი“, „მარუხა“, „ქოხში“.

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს:

1) ყველანი ისხდნენ მხოლოდ თავიანთ ადგილებზე, რაიც აღნიშნულია ხოლმე ბილეთებზე, რათა ამით დამყარდეს სასურველი და საჭირო წეს-რიგიანობა; 2) პიესის წარმოდგენის დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო დროს მოქმედების შეწყვეტა შთაბეჭდილების მთლიანობას აფუჭებს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკვრელად; 3) მეორე ზარის შემდეგ ყველანი დასხდნენ თავიანთ ადგილას და ამით ხელი შეუწყონ ანტრაქტების შემცირებას და ამავე დროს მოერიდნენ სხვა მაყურებელთა შეწუხებას უდროვო დროს ადგილების ძებნით.
რეჟისორი **ვ. გუნია**

წელიწადი მეორე საყმაწვილო ჟურნალი **წელიწადი მეორე**
„ნაკადული“
სურათებით
მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის
გამოდის თვეში ორჯელ სამ წიგნად ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ჩვენი მწერლობის საუკეთესო მოღვაწენი.

წელიწადი ითვლება ნოემბრიდან ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი:

ერთად ორივე გამოცემა წელიწადში 5 მან., ცალ-ცალკე სამ-სამი მან., ნახევარ წლით ერთად 2 მან. 50 კაპ., ცალ-ცალკე 1 მან. 50 კაპ., თვეში 40 კაპ. ცალკე ნომერი მცირე წლოვანთათვის 15 კაპ., მოზრდილთათვის 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ შეუძლიანთ თვეში თითო მანეთი შემოიტანონ.

ხელის მოწერა შეიძლება: რედაქციაში და „წ. კ. გ. საზოგადოების“ კანცელარიაში. ქალაქ გარეთ ჩვენს აგენტებთან **ბაქოში**: ანეტა ქვანიასთან და ნ. დეკანოზიშვილთან; **ქუთაისში**: „კოლხიდის“ საზოგადოებაში, კნ. ბარბარე წერეთლისას და ანნა დადეშქელიანთან; **ბათუმში**: მარიამ ელიავასთან, კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და იასე რაჭველთან; **სუხუმში**: კნ. ტერეზია შერვაშიძესთან და ნიკო თავდგირიძესთან; **ახალციხეში**: სვიმონ ხუთისავარაშვილთან; **გორში**: თამარ და ნინო ლომაურებთან და კნ. ელენე ერისთავისას; **ფოთში**: იაკობ ფანცხავასთან და კნ. ვლადიმერ სვიმონის-ძე აბაშიძესთან; **შიათურაში**: ირაკლი დეკანოზოვთან; **საჩხერეში**: ყარამან ჩხეიძესთან, ერევანში მარიამ ფლენიშვილთან.

რედაქცია იმყოფება ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალოვის სახლში № 8.

დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილები სუფთად და გარკვევით უნდა იყოს დაწერილი.

წერილები, რომელზედაც არ იქნება აღნიშნული სურვილი ჰონორარის მიღებისა, უსასყიდლოდ იქნება ჩათვლილი.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, Редакція НАКАДУЛИ.**

რედაქტორი **მარიამ ივანეს ასული დემურიასი.**
გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

რედაქციაში პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება დილის 10-დან 1 საათამდის. (5—უ.—1)

ნაფიც ვექილის თანაშემწე
ი. კ. მაჭავარიანი
გადავიდა
ოლგას ქუჩაზე, ზემმელის აფთიაქის პირდაპირ, სახლი № 14. (5—4)

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი
იღებს შინაგან (სპეციალურად ფილტვის) ავადმყოფებს და ბავშვებს. გასინჯვა და მკურნალობა რენტგენის სხივებით. ავადმყოფები მიიღებიან დილით 10—12 ს. საღამოთი 5—7 ს.-მდე. მიხეილის პროსპ. № 154. (თვ.—371—10)

მედიცინის დოქტორმა
ბ. ი. ბურგენოვმა,
შტატის ორდინატორად ნამყოფმა ხარკოვის საბებიო და საგინეკოლოგო კლინიკაში, განაახლა საბებიო და ქალის სნეულობით ავადმყოფთა მიღება. დილით 10—12 საათზე, საღამოთი 5—6 საათზე. გოლოვინის პროსპ., სახ. მდივნისა, № 12, საარტისტო საზოგადოების შენობის პირდაპირ. (თვ.—406—4)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 8—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირა საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი, ფოსტის პირდაპირ № 18. (წლ.)

კბილის ექიმი
ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველდღე 9—2-მდე და 5—7 საათამდე, კვირაობით 12 საათამდე. გოლოვინის პროსპექტი № 12, სახლი მდივნისა. (30—26)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის. კვირა-უქმეობით 10—1-მდის.

ექიმი
მ. პ. ბეჟირგანოვი
სიმონოვის ქუჩა № 7. მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7½ საათ. (თვ.—1)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილ. 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა, სახლი სვანიშვილისა № 15

მედიცინის დოქტორი
მ. ი. მურადოვი
ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 10-დან—11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევსკის ქ., ს. № 1. ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 711. (50—368—8)

ექიმი
მ. დ. კილოსანიძე
მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. და საღამოობით 5—6 ს.-მდე კოჩუბეევის ქ. № 23 (მიხაილოვის ქუჩიდან). (15—366—10)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი
გადავიდა ახალ ბინაზედ მიხეილის პროსპექტი, № 44, სახლი აბულაძისა.
იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, უკეთეს პლომბებს, სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს ყოველ გვარ მეთოდზე, დილის 9—2 და საღამოს 4—6 საათამდე. (თვ.—80—15)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.
ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში
მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.
მიიღებიან გარედან მსიარულე ავადმყოფნი
მ. გ. ალაჯანოვი. 11—12 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ნაწლევების ავადმყოფობანი.
ი. ნ. ეგიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი; ელექტრონით წამლობა.
პ. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
გ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.
ი. ე. ავეტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
მ. პ. ძიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.
მ. რ. ელჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.
პ. ა. ბეიერი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სასტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს. (150—9)

გამოფხიზლების ნიშნებია?

III*)

მაშასადამე, სომხის ინტელიგენციის ერთი ნაწილი მაინც გრძნობს თავის დანაშაულობას და სწუხს, რომ ხალხის თვითცნობიერების განვითარებისთვის არ მუშაობდა, რომ უმთავრესად ყურადღებას აქცევდა ეროვნულ და კლერიკალურ საქმეებს, რითაც ბურჟუაზია სარგებლობდა და სომეხ ეროვნებას ხელოვნურად აცალკავებდა სხვა ერებისაგან. ამ გარემოებაში უნდა ვეძიოთ იმის მიზეზი, რომ მეზობელი ერები უნდობლად ეკიდებიან და უყურებენ სომხის ერის სათავეში მდგომ ბურჟუაზიასა და ინტელიგენციას.

აქედან რა უნდა დავსკვნათ? მხოლოდ ის, რომ სომხის ნამდვილი ინტელლიგენცია მოვალეა ზურგი უჩვენოს ძველ გზასა და მიმართულებას და შეუდგეს მშრომელ ხალხის მატერიალურ და სულიერ ინტერესების ენერგიულ დაცვას. დღეს სომხების სოფლებში არავითარ მოძრაობას არ ვხედავთ; ქალაქებშიაც სომხის მშრომელი ელემენტები უფრო მებრძოლ ნაციონალისტების კადრებს შეადგენენ. ვამბობთ ამას აღმოსავლეთ და სამხრეთ ამიერ-კავკასიაზე, სწორედ იმ ადგილებზე, სადაც საშინელი ტრაგედია დატრიალდა. იქაო, მოწმობს „ბაქოს“ წერილის ავტორიც, წმინდა ეროვნული ბრძოლაა, მაშინ როდესაც დასავლეთ კავკასიაში, უმთავრესად ქართველებში, ბრძოლა უფრო ფართო იდეალებისათვის წარმოებსო. სომხის ინტელიგენცია ამ ნიადაგზე არა თუ არ მუშაობდაო, სწერს ერთი სომეხ-პროლეტარი „მოგზაურში“ (№ 37), არამედ ხელს უშლიდა კიდეცაო; იმის სიტყვით, სომხების ლიტერატურაშიაც, საზოგადოებრივ მოღვაწეობაშიაც თანამედროვე მწვავ საკითხებს ყურადღებას არ აქცევდნენო; მაგალითებიც მოჰყავს, რომ ებრძოდნენ კიდეც „ერთობის“ მქადაგებელთ... ერთის სიტყვით, სომხების ბურჟუაზიულ ინტელლიგენციას იგივე პოზიცია უჭირავს, რომელზედაც ჩვენი „მამების“ პატრიოტული დასი იყო შეჩერებული. ამ პოზიციამ ქართველ „მამებშიაც“ შეუწყო ხელი შოვინიზმს, ხოლო სომხების ბურჟუაზიას აგრესიული გზა აარჩევინა და რაღა საკვირველია, რომ ამ გზაზე სომხებს თათრებთანაც მოუხდათ ბრძოლა და სხვების უკმაყოფილებაც აღმოუჩნდათ?! რომ სომხის მოწინავე ელემენტებს ენერგიულად წინ წამოეყენებიათ მშრომელთა ინტერესები და ეროვნული საკითხიც ამ მშრომელთა ინტერესების მიხედვით დაეცვათ, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, სულ სხვა სურათი იქნებოდა, ვიდრე დღეს არის. დღეს თათრის ხალხი ჰხედავს, რომ მის გვერდით **სდგას მთელი სომხის ერი და საერთოდ რაღაცა ინტერესებს იცავს**; უვიც ხალხს ადვილად აგონებენ, რომ სომხებს აგრესიული ეროვნული მისწრაფება აქვთ, რომელიც თათრების წინააღმდეგ არის მიმართული. ხოლო სომხის ერში რომ მძლავრი ხალხური მოძრაობა ყოფილიყო, სომხის მშრომელ ელემენტებს რომ ძლიერი ბრძოლა ჰქონოდა თავის ხარბ და გაუმაძღარ ბურჟუაზიის წინააღმდეგ, თათრის ხალხსაც ვერავინ მოატყუებდა და ვერც დაანძრევდა მთელის სომხის ერის წინააღმდეგ. კავკასიის ხალხთა დემოკრატიული მოძრაობა ის ნიადაგია, რომელიც შეაერთებს და შეაკავშირებს ყველა მეზობელ ერებს. ეს კარგად უნდა იცოდნენ სომხის მოწინავე ელემენტებმა და ენერგიული ხალხური მუშაობა უნდა გასწიონ. სომხის ბურჟუაზია ბიუროკრატიასთან კავშირისა და მეგობრობის გაწევით და თათრების გასრესის პოლიტიკით აპირებს ფონს გასვლას და ნუთუ ასეთ ბურჟუაზიას გვერდში უნდა ამოუდგნენ ხალხის დამცველი ელემენტები?!

მაგრამ, ეს კიდევ ცოტაა. ჩვენ ვთქვით, რომ კავკასიის ერთა ურთიერთობის განკარგებისათვის საჭიროა საკითხი ყოველმხრიდან გამოირკვეს, გადაფუჩეჩებული არაფერი არ დარჩეს. სომხების აღნიშნულ წერილებში ჩვენ ვნახეთ, რომ იმათ შეუგნიათ, რაოდენ საშიშია ცალმხრივი ეროვნულ-შოვინისტური პოლიტიკა, რომელსაც „უკანასკნელ 25 წლის განმავლობაში აწარმოებენ სომხის შეგნებული ელემენტები“; ჩვენ ვხედავთ, რომ ამასთანავე საჭიროდ სთვლიან ხალხისთვის მუშაობას და ამ ნიადაგზე სხვა ერების ხალხებთან შეთანხმება-შერიგებას. მაგრამ თანაც ეტყობათ, რომ ერთ უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობისაკენ იწევენ. თუ აქამდის „სომხების სრულის ეროვნულ განცალკავებისათვის“ მუშაობდნენ, ახლა იმის ქადაგებას იწყებენ, რომ ეროვნული საკითხი სრულიადაც არაა სახსენებელიო. „ბაკუ“-ს წერილის ავტორი, „მოგზაური“-ს სომეხ-პროლეტარები, „ნოვ. ობოზრ.“-ს ფელეტონისტი ბ-ნი ბარსეგი და სხვანი ერთხმად ამბობენ, ეროვნულ ანგარიშებს თავი უნდა დავანებოთო და მხოლოდ კლასსობრივს ბრძოლას მივაწვეთო. ბ-ნმა ხატისოვმა ორი სიტყვა სთქვა, მეზობლებთან ტერრიტორიალური, აგრარული და სხვა საეროვნო საკითხები გვაქვს გასარჩევიო, მაგრამ ბ-მა ბარსეგმა მაშინვე ენერგიული პროტესტი გამოაცხადა. იმის წარმოდგენით, კავკასიის ერებს არავითარი ეროვნული ინტერესები არა აქვთ, ისინი რუსეთის იმპერიის მოქალაქენი არიან და უნდა იბრძოლონ **ადამიანის** განსათავისუფლებლად და **პროლეტარიატის** გამარჯვების დასაჩქარებლად... ასეთ აზრების მქადაგებელთ ავიწყდებათ მხოლოდ ერთი: მუშა ხალხის სრულის გამარჯვების დღე ჯერ კიდევ შორს არის; სოციალისტურ იდეალის განხორციელებამდე ხალხებმა კიდევ უნდა განვლონ ერთი ხანა; მანამდის-კი ისევ ბურჟუაზიის ბატონობა იქნება და მასთან ეროვნულ დაჩაგვრასაც, ბურჟუაზიის აგრესიულ ბრძოლასაც ექნება ადგილი. ამიტომ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეხლავ საჭიროა ყოველ ერის ისეთ პირობებში ჩაყენება, რომელშიაც ნიადაგი არ იქნება ერთა შორის შეჯახება-შეტაკებისათვის. მაგალითად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ფართო ეროვნული დემოკრატიული თვითმართველობა, რომელშიაც ამასთანავე მტკიცედ იქნება დაცული სხვა ერის ჩამოსახლებულ ჯგუფთა ინტერესები, ბევრად თუ ცოტად დაიცავს ერს სხვა ერის დაჩაგვრისაგან და დარბევისაგან. ასეთი პოლიტიკურ-ეროვნული ინტერესი აქვთ კავკასიის ერებს და მაშასადამე ამის ჩაფუჩეჩება არ ვარგა იმ მოსაზრებით, რომ „სულერთია, მომავალში პროლეტარიატი გაიმარჯვებს და ეროვნულ ურთიერთობაზე ლაპარაკს ადგილი აღარ ექნება“. მომავალში ასე იქნება, მაგრამ დღეს-დღეობით რა ვქნათ, როგორი **modus vivendi** შევიმუშაოთ მეზობელ ერებმა, რომ ერთმანეთი არ შევავიწროვოთ?! ეროვნულ საკითხის სრული მივიწყება, შეიძლება, სასარგებლოც იქნეს რომელისამე ერის აგრესიულ ბურჟუაზიისათვის. თუ, მაგალითად, რუსეთის იმპერიის დღეს არსებული პირობები ხელს უწყობენ სომხის ბურჟუაზიის გამაგრებას საქართველოში, უეჭველია, სომხის ბურჟუაზია წინააღმდეგი იქნება ქართველთა თვითმმართველობისა, თუნდაც ეს თვითმმართველობა სასარგებლო და ხელსაყრელი იქნეს თვით სომხის ადგილობრივ მშრომელ ხალხისათვის... ამიტომ თუ გვინდა, რომ ჩვენ ერებს შორის ნორმალური ურთიერთობა დამყარდეს, სამართლიან ეროვნულ მისწრაფებათა გადაფუჩეჩება არ უნდა მოვინდომოთ. როცა სომხის ინტელიგენცია ამას შეიგნებს, როცა შეიგნებს, რომ მას შეცდომა მიუძღვის არა მარტო თავის ხალხის წინაშე, არამედ ზოგიერთ რამეში სხვა ერების წინაშეც, მაშინ ადვილად გამოირკვევა საერთო ნიადაგიცა და ერთობის პირობებიც.

ვ.

---

*) იხ. „ცნობ. ფურ.“ № 2929

* * *

ცოტა რამ სახელმწიფო სათათბიროზე

რუსეთის ისტორიის უმთავრეს მომენტებს მეცხრამეტე საუკუნეში წარმოადგენს: საგარეო პოლიტიკა, საადმინისტრაციო, სამოსამართლო და საფინანსო დაწესებულებათა რეფორმები და საზოგადოებრივ ცხოვრების მიმდინარეობა. ადმინისტრატიულ რეფორმების ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ალექსანდრე პირველის მეფობას (1801—1825 წ.), როდესაც ალექსანდრე I სამეფო ტახტზე ავიდა, სახელმწიფოს შინაური საქმეები აწეწილ-დაწეწილი დახვდა. ამისათვის განიზრახა, მოეხდინა ძირითადი რეფორმები სახელმწიფოს შინაურ ცხოვრებაში და მოეწყო იგი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა კვალობაზე. ამ საქმეში მისი მახლობელი და მუდმივი თანამშრომელი იყო იმ დროის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე სპერანსკი.

სპერანსკის მეფემ მიანდო შეედგინა საზოგადო პროექტი ადმინისტრატიულ დაწესებულებათა რეფორმებისა. აი, ამ პროექტით, სხვათა შორის, განზრახული იყო დაარსება „სახელმწიფო სათათბიროსი“, როგორც მუდმივ, დამოუკიდებელ და ხალხის წარმომადგენელთაგან შემდგარ დაწესებულებისა.

სპერანსკის პროექტით განზრახულ და 6 აგვისტოს მანიფესტით გამოცხადებულ სათათბიროთა შორის ვხედავთ როგორც მსგავსებას, ისე განსხვავებას. *) უმთავრესი მსგავსება მათ შორის მდგომარეობს საარჩევნო პრინციპში. სპერანსკის პროექტით ხალხის პოლიტიკური უფლებანი დამყარებულია ქონებრივ ცენზზე, ე. ი. საარჩევნო უფლება მინიჭებული აქვთ მხოლოდ უძრავ საკუთრების ან კაპიტალის მქონეთ. მუშა ხალხი, როგორც არ მქონე ქონებრივ ცენზისა, მოკლებულია ამგვარ პოლიტიკურ უფლებას. ამისთანა პირობებში, რასაკვირ-

---

*) კლოჩკოს წერილი: „Государственная дума въ проектѣ Сперанскаго“.

ველია, სათათბირო არ იქნებოდა ნამდვილი წარმომადგენლობა, დამყარებული სამართლიანობის პრინციპზე და შეთანხმებული ხალხის ინტერესებთან.

ესევე პრინციპი უძევს საფუძვლად 6 აგვისტოს მანიფესტით გამოქვეყნებულ სახელმწიფო სათათბიროს. ამ დებულებით ხმის უფლება არჩევნებში ეძლევა ქალაქისა და სოფლის შეძლებულ ხალხს. მშრომელი ხალხი, როგორც ნივთიერად დაჩაგრული და არ მქონე ქონებრივ ცენზისა, მოკლებულია ამ უფლებას. მაგრამ, თუ სპერანსკის შეეძლო აეხვია გზა მშრომელ ხალხისათვის და ქონებრივ ცენზის დაწესებით არ მიეცა იმისთვის აღნიშნული პოლიტიკური უფლება, რადგან იმ დროს მუშათა საკითხი არ იყო გამწვავებული და თვით მუშა ხალხი არ იყო გათვითცნობიერებული, ეხლა შეუძლებელია ამ საკითხის უარისყოფა და მშრომელ ხალხის ინტერესების აბუჩად აგდება, მუშა ხალხი ეხლა გათვითცნობიერებულია, იგი მედგრად იბრძვის პოლიტიკურ უფლებათა მოსაპოებლად. მუშათა საკითხი გამწვავდა, მუშის ინტერესების უარყოფა და უყურადღებოდ დატოვება ჩვენ დროში შეუძლებელია. ხალხი ითხოვს საყოველთაო საარჩევნო უფლებას, ითხოვს წარმომადგენლების არჩევას საყოველთაო, თანასწორის და პირდაპირის ხმის უფლებით.

უმთავრესი განსხვავება სპერანსკისა და ეხლანდელ სათათბიროთა შორის შემდეგია: სპერანსკის სათათბირო საკანონმდებლო დაწესებულებაა. ძალა არა ჰქონდა იმ კანონს, რომელიც არ იქნებოდა განხილული, მიღებული და შეწყნარებული სათათბიროს მიერ. ახლანდელს სათათბიროს-კი აქვს მხოლოდ სათათბირო ხასიათი; მას ეკუთვნის უფლება არა საკანონმდებლო, არამედ სათათბირო. საკანონმდებლო უფლება ისევ თვით მპყრობელ მთავრობის ხელშია. სათათბირო მხოლოდ გამოსთქვამს თავისს აზრს, რომელიც, თუ არ მოეწონება უმაღლეს მთავრობას, უარყოფილ იქნება, ან ამ აზრს ისეთ მიმართულებას და ელფერს მისცემენ, როგორიც ჰსურთ სათავეში მდგომთ მინისტრებს და მთავარ-გამგეთ.

სპერანსკის პროექტით წარმომადგენლების არჩევნებში არ ერევა ადმინისტრაცია; იმის თვითნებობას და ძალდატანებას ადგილი არა აქვს; ხალხს შეუძლიან თავისუფლად, ადმინისტრაციის ძალა დაუტანებლად ამოირჩიოს თავისი ნამდვილი წარმომადგენლობა, ეხლა-კი არჩევნები ჰხდება ადმინისტრაციის ზედგავლენითა და მეთვალყურეობით. ამომრჩევლები უზრუნველყოფილნი არ არიან ადმინისტრაციის თვითნებობისა და ძალდატანებისაგან. უკანასკნელს შეძლება ეძლევა ძალა დაატანოს ხალხს და აარჩევინოს იმისთანა წარმომადგენლები, რომელნიც არ იქნებიან ნამდვილნი დამცველნი ხალხის ინტერესებისა.

სპერანსკის დროს სათათბიროსთან ერთად განზრახული იყო დაკანონება სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლებისა, პიროვნების ხელუხლებლობისა და სხ., რასაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ხალხის თვით-მოქმედების თავისუფლებისათვის. ეხლა-კი თვით-მოქმედება ხალხისა მოკლებულია ამ გვარს თავისუფლებას. სიტყვა, ბეჭდვითი აზრი, პიროვნება, კრებისა და კავშირების თავისუფლება ისევ ძველ პირობებშია დარჩენილი.

ამ გვარია უმთავრესი მსგავსება და განსხვავება სპერანსკის მიერ განზრახულ და 6 აგვისტოს მანიფესტით გამოქვეყნებულ სახელმწიფო სათათბიროთა შორის. ჩვენ განგებ შევადარეთ ეს ორი პროექტი. მკითხველი აშკარად დაინახავს, რამდენად მაღლა სდგას ამ ასი წლის წინად, ჯერ ისევ ბატონ-ყმობის დროს განზრახული სათათბირო იმაზე, რომლის განხორციელებასაც ეხლა, მეოცე საუკუნეში, სცდილობენ.

ე. მირიანაშვილი

სერგეი ტრუბეცკოის დაკრძალვა მოსკოვში

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

უნივერსიტეტმა ელფერი იცვალა. იმისმა აჩქარებულმა, გატაცებულმა მაჯის ცემამ ერთბაშად პირი შეიკრა. მეცნიერების ტაძარმა დროებით უკუაგდო საჭირ-ბოროტო საკითხები და მთლად ძაძით შეიმოსა. ამისი მიზეზი საყვარელ რექტორის, დაუვიწყარ მოღვაწის სერგეი ტრუბეცკოის გარდაცვალება იყო. განსვენებულმა 29 სექტემბერს, ღამის 12 საათზე, განუტევა სული. მეორე დღეს დილითვე მთელმა მოსკოვმა გაიგო ეს გულის დამწველი ამბავი. ყველა გაჰკვირდა, გაოცდა.

ამ მოულოდნელ ამბის ვითარება ასეთი იყო. მოსკოვის უნივერსიტეტში მომხდარმა ამბებმა დიდი გავლენა იქონია განსვენებულ რექტორზე. მისი ცდა როგორმე მოეწესრიგებინა უნივერსიტეტის საქმეები და იმის ცხოვრების სვლა ნორმალურ კალაპოტში ჩაეყენებინა, ამაოდ დარჩა. იმ უფლებებით, რომლითაც იგი იყო აღჭურვილი, ვერაფერს გახდა, და წავიდა პეტერბურგს, რათა იქ ეცადნა იმ მოთხოვნილებათა დაკანონება, ურომლისოდაც უნივერსიტეტი ვერას გზით ვერ გაიხსნებოდა და თუ გაიხსნებოდა, ვერ დაკმაყოფილდებოდა.

პეტერბურგში მისვლისათანავე ტრუბეცკოი შესულა სამინისტროში, სადაც უოფილ რექტორს მოსკოვის უნივერსიტეტისას ტიხომიროვს (ეხლა დეპარტამენტის დირექტორია სამინისტროში) თავისთან მიუწვევია. განსვენებული იქვე სუსტად გრძნობდა თურმე თავს. სადამოს ოთხ საათზე დაიწყო კრება სამინისტროში. ირჩეოდა ორი საკითხი: 1. უნივერსიტეტში ხალხის დასწრებით მიტინგების გამართვა და 2. სტუდენტების ორგანიზაცია. ტრუბეცკოის მხურვალე მონაწილეობა მიუღია ბჭობაში და ძალიანაც დაღლილა. დამჯდარა რა სავარძელში, გული შეჰღონებია. იმ წამსვე შემოხვევიან, მაგრამ ვერა უშველიათ რა. საწოლზე რომ დაუწვენიათ, რაღაც უთქვამს. გაურჩევიათ მხოლოდ ეს სიტყვები: „ჰო... ისინი კმაყოფილნი იქნებიან... დაწყნარდებიან“.. ეს შეეხებოდა სტუდენტებს. ეს იყო იმისი უკანასკნელი სიტყვები... სამინისტროდან გადუყვანიათ კლინიკაში, სადაც ღამის 12 საათზე დაულევია სული. განსვენებულს ტვინში სისხლი აჰჭარბებია და ეს იყო სიკვდილის მიზეზი.

ამ ამბავთან ერთად მოსკოვში ხმა გავარდა, რომ ტრუბეცკოი მოწამლეს; მაგრამ გვამის გაჭრამ დაამტკიცა, რომ ეს ხმა ტყუილი იყო.

იმ დღესვე მოსკოვის სტუდენტობამ თავი მოიყარა და დაადგინა, ღირსეულად პატივი ეცა თავის პირველ თავისუფლად არჩეულ რექტორის და დიად მოღვაწის ცხედრისთვის. პეტერბურგში გაიგზავნა სამი წარმომადგენელი, რომელთაც განსვენებულის კუბო მოსკოვის სტუდენტობის სახელით ვერცხლის გვირგვინით უნდა შეემკოთ. იმისმა სიკვდილმა ფეხზე დააყენა საზოგადოებები, დაწესებულებანი, სასწავლებლები, ყველამ იწყო მზადება შესაფერის პატივის ცემისთვის.

პოლიტიკურმა მოძრაობამ, რომელმაც ასე მედგრად იჩინა თავი, ს. ნ. ტრუბეცკოი მებრძოლთა პირველ რიგში ჩააყენა; ამასთანავე ავტონომიურმა უნივერსიტეტმა დიადი პასუხსაგები მოვალეობაც არგუნა. გუშინ ჯერ კიდევ ღრმა ფილოსოფოს-მეცნიერს, დიდის ჭკუის პატრონს, ცხოვრებაზე თითქმის განზე მდგომს, თუმცა უცვლელ მოყვრის ბეჯითად თვალყურის მდევნელს, ტრუბეცკოის ამ მოძრაობამ დღეს ფრთები შეასხა და ცხარე, თავდადებულ მებრძოლად გამოიყვანა. პირველად ამ ნიადაგზე ტრუბეცკოის ვხედავთ ქვეს ივნისს, ხელმწიფის წინაშე მდგომს, და თამამად, რწმენით გამსჭვალულ მოსაუბრეს ადამიანურ უფლებების შესახებ. იგი უმტკიცებს ხელმწიფეს, რომ თუ მოქალაქეთ არ მიეცათ ადამიანური და მოქალაქობრივი უფლებანი, ფუჭია ყოველივე ცდა. ვხედავთ მას 12—15 სექტემბრის საერობო მოღვაწეთა ბიუროში, სადაც თავგამოდებით იცავს ყველაფერს, რაც-კი სასურველი და სანატრელია ხალხისთვის. ბოლოს იგი სათავეში უდგას უნივერსიტეტს, სადაც სტუდენტებთან ერთად გამსჭვალულია ნამდვილ თავისუფლების მოშიებით. სულ რამდენსამე თვეში ტრუბეცკოის სახელი მთელმა რუსეთმა გაიგო. სახელი მას წინადვე ჰქონდა მოხვეჭილი, როგორც ფილოსოფოს-პროფესორს, საზოგადო მოღვაწეს და პუბლიცისტს, მაგრამ დღევანდელმა მისმა ღვაწლმა მხოლოდ გაათკეცა იგი.

და, აი, ამ კაცის ცხედრის დასახვედრად მოემზადა მთელი მოსკოვი. გამოცხადებული იყო, რომ სამ ოქტომბერს, დილის 7 საათზე, მოასვენებდნენ ცხედარს. ავწერ იმას, რაც მოსკოვში ჩემის თვალით ვნახე.

დილის ხუთი საათიდანვე იწყო ხალხმა დენა სადგურისაკენ. 7 საათისთვის უზარმაზარი სადგური და ეზო მთლად გაიჭედა ხალხით. ხალხი იდგა აგრეთვე გრძელ ქუჩაში და სადგურის მიდამოებში, სადაც კი ადგილი იყო. მატარებელმა ცოტა დაიგვიანა და ბაქანს მოადგა სწორედ 8½ საათზედ. სადგურზედ იყვნენ თითქმის მთელი სტუდენტობა მოსკოვისა, საშუალო სასწავლებლების მოსწავლენი, პროფესორები და საზოგადო მოღვაწენი, მწერლები და ვექილები, ექიმები და ინჟინრები და სხვა და სხვა დაწესებულების წარმომადგენელნი და მრავლისაგან მრავალი ხალხი. კუბო ხელით გამოიტანეს სტუდენტებმა და პროფესორებმა. გვირგვინებს თვალი არა ჰქონდა. ერთი ვაგონი მთლად გვირგვინებით გატენილი ჩამოიტანეს პეტერბურგიდან. სტუდენტებმა დაირიგეს გვირგვინები და გასწიეს წინ. ამით დაიწყო პროცესია. მათ მისდევდა მგალობელთა გუნდი, მიჰქონდათ ცხედარი, მისდევდნენ უკან ჭირ ნათესავები განსვენებულისა: მეუღლე, ძმა, (მოსკოვის თავად-აზნაურთა წინამძღოლი) შვილები და სხვანი. შემდეგ მიდიოდა უთვალავი ხალხი.

წესრიგს იცავდნენ თვით სტუდენტები, რომელნიც განაგებდნენ პროცესიას. პოლიციის ჭაჭანებაც არ იყო. ხელი-ხელს ჩაჭიდულ სტუდენტებს ჯაჭვი გაებათ და გარს შემორტყმოდნენ ცხედარს და გვირგვინთა მიმქონთ, რომ ხალხი არ მისწოლოდა.

გვირგვინთა პროცესია საუცხოვო სანახაობას წარმოადგენდა. ყველაზე წინ მიჰქონდათ ვერცხლის გვირგვინები, მოსკოვის სტუდენტებისაგან, პროფესორებისა, პეტერბურგის სტუდენტებისა და სხვათა გვირგვინები. შემდეგ მიჰქონდათ ცოცხალ ყვავილების გვირგვინები, დაფნის ფოთლისა და სხვა. გვირგვინები შემკული იყო წითელ, თეთრ და შავ ლენტებით. იყო მთლად წითელი, ცოცხალ ყვავილებისაგან გაკეთებული, წითელ ლენტებიანი გვირგვინები. კარგი იყო გვირგვინები ვარშავის, ყაზანის, ხარკოვის, ჰელსინგფორსის, ადესის უნივერსიტეტებისა; საშუალო სასწავლებლებისა, მოსკოვის სამხატვრო, დიდ პატარა და ახალ თეატრებისა, პეტერბურგის მღვდელთა ჯგუფისა, ბაქოელ თათრებისა, ერობის და ქალაქის მოღვაწეებისა, მუშების ესსებისა. ზოგს ასეთი წარწერა ჰქონდა: „თავისუფლებისთვის მებრძოლს“, „ვეღარ მოესწარ თავისუფლებას“ და სხვა. ერთ გვირგვინზე ეწერა: „უოფილ რედაქტორს ცენზურის მიერ ჩადუპულ „მოსკოვსკაია ნედელიასი“.

მიჰქონდათ გვირგვინები და მიდიოდა ეს ამდენა ზღვა ხალხი. თვალს ვერ გააწვდენდით თავს და ბოლოს. პროცესია თითქმის ორი ვერსის მანძილზედ გაჭიმულიყო. ყოველ ქუჩასა და მოედანზე ბლომად ჰხვდებოდა ხალხი და ჰკვირობდა ამ დიად სანახაობით. დიდი ხანია, მგონი, მოსკოვი ასეთ დიდ სურათს არ მოსწრებია. მიდის პროცესია, მისდევს წინ და უკან ხალხი, და „წმინდაო ღმერთო“ ჰაერში იფანტება. ქუჩებში ყოველივე მოძრაობა შეჩერებულია. ყველა მისჩერებია პროცესიას. „წმინდაო ღმერთოს“-თან ერთად გაისმის სხვა დიადი ჰანგებიც, მედგრად გამოთქმული სიცოცხლით სავსე ახალგაზრდობის მიერ. ამ სიმღერებში ყველა იღებს მონაწილეობას. გაისმის სიმღერის ასეთი სიტყვებიც:

Вы жертвой пали въ борьбѣ роковой
Любви беззавѣтной къ народу!
Вы отдали все за нее, что могли
И жизнь свою, честь и свободу.....

ჰგრძნობდა კაცი რაღაც სიდიადეს და არა მწუხარებას, ჰგრძნობდა, რომ სიკვდილით ეს კაცი არ მომკვდარა, რომ იგი სცოცხლობს ყოველ აქ დამსწრეს გულში. **Al.**

(შემდეგი ხვალ)

ახალი ამბავი

◆ ამას წინად ვწერდით, ქუთაისის გუბერნიის სამხედრო საქმეთა საკრებულომ უნდა განიხილოს მარშლის მოხსენება იმის შესახებ, რომ **ჩვენი ქვეყნის მკვიდრნი — ჯარის კაცები რუსეთში არ იგზავნებოდნენო**. მოხსენება, როგორც ქუთაისიდან გვატყობინებენ, საკრებულოს მდივანს კაპიტან რომანოვს შეუვსია და დაუსაბუთებია იმ ცნობებით, რომელიც ამას წინად ქუთაისის სამკურნალო საზოგადოებას წარუდგინა ექიმმა ქორქაშვილმა, და წარუდგინა საკრებულოს კერძო სხდომისთვის. სხდომას დასწრებია გუბერნატორი, ვიცე-გუბერნატორი, ოლქის სასამართლოსთან დანიშნული პროკურორი. სამხედრო უწყების წარმომადგენელნი და სხვანი. გაცნობია რა მოხსენებაში მოთავსებულ მასალას, კერძო კრებას შეუძლებლად უცვნია ჩვენი ქვეყნიდან გაყვანილ ჯარის-კაცების რუსეთში გასტუმრება და გუბერნატორისთვის უთხოვნია, ხსენებული მოხსენება რომანოვისა თავის დასკვნით და მოსაზრებით წარუდგინოს უმაღლეს მთავრობას. როგორც გავიგე, გუბერნატორს უკვე წარუდგენია ეს საქმე ნამესტნიკისთვის და, ქუთაისის მარშლის შუამდგომლობისა და საკრებულოს კერძო კრების დადგენილების თანახმად, უთხოვნია კავკასიის მკვიდრთ სამხედრო მოვალეობა სამშობლოშივე მოახდევინონ.

◆ ამ გაზაფხულს, როგორც უკვე ვაუწყეთ მკითხველებს, **მთაში შეტაკება მოხდა**. თუშ-ფშავ-ხევსურთ ითხოვს იარაღი, რომელიც მთავრობამ აღუთქვა. თიანეთში სამხედრო ბეგარაში გაწვეულთა კენჭის ყრის შემდეგ, იარაღი იმათ გაატანეს, ვინც კენჭის ყრას დაესწრო და დაავალეს, დაარიგონ სოფლებში. სულ გაატანეს 80 თოფი. რასაკვირველია, 80 თოფით დიდი საქმის გაკეთება არ შეიძლება, რადგან ეს თოფები დაიფანტება სოფლებში, რომელნიც, ერთი ერთმანეთზედ მოშორებით არიან მოწყვეტილნი. სოფელზედ 4 თოფზე მეტი არ შეხვდებათ და აბა რას გახდებიან 4 თოფით მტრის წინააღმდეგ! ოთხი-ხუთი დღეა, რაც თიანეთიდან თოფები ჩაიტანეს ალვანში. მალე ჩაიკეტება თოვლით და ყინულით თუშეთი და ფშავ-ხევსურეთი. სანუგეშო ის არის, რომ გაზაფხულამდე და თითქმის ზაფხულამდე იქ მტრის ვეღარც თოფი იმოქმედებს და ვეღარც ზარბაზანი.

◆ როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, კობეკოს კომისიამ საჭიროდ სცნო, **სრული თავისუფლება მიეცეს როგორც რუსულს, ისე არა რუსულ პრესსას**. ეს-კი დაუდგენია, მაგრამ ამავე დროს ხმის უმეტესობით გადაუწყვეტია, დარჩეს ბეჭდვითი სიტყვის მთავარი სამმართველო და ცენზორთა თანამდებობანი. მეტიც: ყველა საუნივერსიტეტო ქალაქში უნდა დაარსდეს საცენზურო კომიტეტები, ხოლო სხვა ქალაქებში — ცენზორები დაინიშნენ.

◆ ტფ. ქალაქის მოურავის მოადგილემ გუშინ ტფილისის გენერალ-გუბერნატორს წარუდგინა ცნობები **ხმოსანთა თანამდებობიდან გადადგომის** შესახებ. ამ ცნობებით, პირველად გადადგომის განცხადება შეუტანია 61 ხმოსანს. შემდეგ 1 ოქტომბერს კერძო თათბირზე ხმოსნებს შეუმუშავებიათ რეზოლიუცია, რომლის ძალითაც ხმოსნები უნდა დარჩენილიყვნენ ახალ არჩევნებამდე. ამ რეზოლიუციაზე ხელი მოუწერია 25 კაცს. ოთხს ა. ი. ბებუთოვს, ვ. ა. სარაჯიშვილს, ნ. ა. გრიქუროვს და მ. ლ. სოსინს შეუტანიათ განცხადება, რომ სამსახურში უჩებიან; 8 კაცს სრულიად არ შემოუტანია განცხადება.

◆ ტფილისის ოთხ **საქალაქო სკოლის** (1872 წლის დებულება) მასწავლებელთ სამოსწავლო ოლქის მზრუნველს გადასცეს ნამესტნიკთან წარსადგენად წერილობითი

ფელეტონი

სამწუხარო მოვლენა

ვისაც ქართულ ლიტერატურისთვის თვალყური უდევნებია, ის, უეჭველია, შეხვედრია ერთ საკვირველ მოვლენას. ქართულ ლიტერატურაში მოღვაწე ხშირად, ძალიან ხშირად, არა სთვლის მოვალეობად ჩაეკითხოს თავის თავს, რა უფლებით გამოდის სალიტერატურო ასპარეზზე და ჩემობს ხალხის მასწავლებლობას.

მომეტებულ ნაწილისთვის ეს კითხვა არ არსებობს. ისინი გულუბრყვილოდ ფიქრობენ, რომ „უკაცობის დროს თომაც აზნაურიაო“, და თამამად ღაღადებენ ბეჭდვითი სიტყვით რაც კი თავში მოუვათ. ამგვარ ლიტერატორებს სიტყვა მიაჩნიათ მარტოოდენ ეფირად, რომელიც სამყაროს დაუსრულებელ სივრცეში იკარგება. ის კი არ ახსენდებათ, რომ სიტყვა—თესლია, რომელიც ითესება მკითხველის სულსა და გულში, იზრდება, ფოთოლს ისხამს, ყვავილდება და ნაყოფს იღებს.

ამ მწერლებს არ აწუხებთ ის ნაყოფი, რომელიც „ჭეშმარიტებას“ მოაქვს, მათის ბაგეთი მღაღადებელს. ერთად ერთი იმათი მიზანი ის არის, რომ ენის ქავილი მოიცილონ, ხოლო რა სენს შეჰყრის მათი ნაწარმოები საბრალო მკითხველს, ამაზე ალლაჰმა იზრუნოსო. არა მკითხე მწერლები ივიწყებენ, ივიწყებენ კი არა, არ იციან, რომ სიტყვა მწერლისა—მისი საქმეა, მისი მოქმედებაა და, როგორც მოქმედება, გავლენა აქვს ადამიანზე. იმათ თავს ვერ შეუგნია ის დიადი პასუხისგება, რომელსაც კისრულობს ადამიანი, როცა კალამს იღებს ხელში. მათთვის არა არის აღთქმა, გოგოლის მიერ დატოვებული: „პატიოსნად უნდა მოექცე სიტყვას: იგია საუკეთესო ნობათი ღვთისა ადამიანისათვის... საშიშია მწერლისათვის სიტყვასთან ხუმრობა“.

რასაკვირველია, არა მკითხე მწერლები ყველგან მოიძებნებიან, მაგრამ სხვაგან, უფრო განათლებულ ქვეყნებში, იმათ „თხზულებებს“ ბაზარი არა აქვს. მათი გავლენა ქარწყლდება, ჯერ ერთი, პატიოსან მწერალთა ნაწარმოებით, მეორე,—თვით მკითხველების განვითარებით.

ვაი ჩვენ ხალხს! სად არიან პატიოსანი მწერალნი, რომელთათვისაც სიტყვა – საქმეა, რომელთაც ეშინიანთ სიტყვასთან ხუმრობისა? ცოტა, ძალიან ცოტაა. უფრო ცოტა მოიძებნება განვითარებული მკითხველი. ჩვენი ხალხი ამ მხრივ ჯერ კიდევ დაბალ საფეხურზე სდგას. ეს იმას არა ნიშნავს, რომ ჩვენი ხალხი ცნობიერებას არის მოკლებული. არა, იგი შეგნებულია იმდენად, რომ კარგად ინელებს მიწოდებულ მასალას, ითვისებს, მაგრამ უკრიტიკოდ, უფრო რწმუნებით, ვიდრე გონებით. ამიტომ ჩვენ ხალხში გასავალი აქვს საღ საჭმელთან, დამპალსაც. და სწორედ ეს უკანასკნელია სავალალო. არა-მკითხე მწერლები სწორედ ის მუშაკნი არიან, რომელნიც აძლევენ ხალხში დამპალ საჭმელს. ვისაც გული შესტკივა ხალხისა და იმის ჭეშმარიტ განვითარებისათვის, მოვალეა გააფრთხილოს გულუბრყვილო მკითხველი და მოარიდოს დამპალ საჭმელს.

ასეთი ფიქრები აღმიძრა „ვოზროჟდენიე“-ში დაბეჭდილმა ფელეტონმა ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ. კიდევ კარგი, რომ „ჭეშმარიტება“ ბ-ნ ქუთათელისა რუსულ ენაზე არის შეთხზული, მაშასადამე, ქართველი აუდიტორია ფართოდ ვერ ისარგებლებს იმ მარგალიტებით, რომელიც უხვადაა გაფანტული წერილში. მაგრამ დანაშაული ბ-ნ ქუთათელისა ამით კი არა მსუბუქდება, უფრო მძიმდება. რუსული აუდიტორია ძლიერ ცოტად იცნობს ქართულ ლიტერატურას და მწერალს დიდი სიფრთხილე სჭირია, რომ სიცრუე არ მიაწოდოს უცხო ხალხს.

ბ-ნ ქუთათელის ფელეტონი ნ. ბარათაშვილის შესახებ წარმოადგენს ტიპიურ ნიმუშს არამკითხე მწერლის შემოქმედებისას. ჩვენ გვაკვირვებს, როგორ იხილა მზე ბ-ნ ქუთათელის სიბრძნემ „ვოზროჟდენიე“-ს ფურცლებზედ. მეტად მიგვაჩნია ლაპარაკი იმაზე, რომ რუსულ გაზეთში მწერალმა აუცილებლად უნდა იცოდეს რუსული ენა. ამაზე კი უკაცრავად არის ბ-ნი ქუთათელი.

რომ ლიტონ სიტყვად არ ჩამოგვართვან ჩვენი აზრი, აი მაგალითიც მარგალიტიც: Ореолъ байроническаго „безочарованія“ заразительно дѣйствовалъ на грузинскую молодежь. Словомъ, отъ ежедневнаго тренія съ этимъ типомъ недовольнаго человѣка заражалось собственное настроеніе и въ немъ находилъ наблюдатель отраженіе вліянія но уже въ искаженномъ родѣ“.

ჩვენ არას ვიტყვით იმაზე, რომ ბ-ნ ქუთათელის წერილი უფრო მისი „მუზის“ უგემური სიმღერაა, ვიდრე ბარათაშვილის პოეზიის გარჩევა. გვინდა მარტო დავიცვათ ბარათაშვილის საუკეთესო ლექსი „მერანი“ იმ ბრძნულ კრიტიკისაგან, რომლითაც ბ-ნ ქუთათელმა ტალახში ამოსვარა პოეზიის მარგალიტი.

ჯერ მოვუსმინოთ კრიტიკოსს.

„მერანში, ალბად, უნდა ვიგულისხმოთ პოეტიური აზრი, სული, ფანტაზია პოეტისა. „მერანი“ არ დაუდევს არავითარ დაბრკოლებას და შეუჩერებლად მირბის წინ. რისთვის არის საჭირო ეს მოძრაობა? (sic!) იმისათვის, რომ ქარს მიეცეს ლოდი მწუხარის, სევდიანის ფიქრისა, რომ ჩქარა შემოკლდეს ცხოვრების გზა პოეტისა. მაშ, იმის სულში ყოფილა რაღაცა საიდუმლო ბოროტი ძალა, რომელიც მიაქროლებს პოეტს უფსკრულისაკენ. ლექსში არ არის აღნიშნული სახელი ამ ძალისა. საყვარელი ქვეყანა, სატრფო გულისა, მეგობარნი — ვერაფერს ვერ დაუჭერია პოეტი ამ ქვეყანად. პოეტი რომ შემდგარიყო ამ მოტივზე, ლექსი მშვენიერი გამოვიდოდა. მწუხარება, რომლითაც მოცულია ეს ლექსი, იქმნებოდა წყნარი და ღრმა, როგორც შეჰფერის ყოველს ჭეშმარიტ მშვენიერებას. მაგრამ პოეტი ლექსის შემდეგ მიმდინარეობაში (ვთარგმნით სიტყვა სიტყვით) თავს იწონებს მწუხარებით, და შთაბეჭდილება ცივდება და გუნებას (настроеніе) პროზა სცვლის. მაგალითად, პოეტი ითხოვს, რომ მისი გვამი არ გაიტანონ სამშობლო სასაფლაოზე, არ დაიტიროს სატრფომ გულისამ, ნულა დაეცეს ცრემლი მწუხარის; დეე შავმა ყორანმა გაუთხაროს საფლავი მდელოთა შორის ტიალის მინდვრის და ქარიშხალმა ძვალთა შთენილთა, ზარით, ღრიალით მიწა მიაყაროს, რადგან „სატრფოს ცრემლის წილ, მკვდარსა, ოხერსა დაეცემიან ციურნი ცვარნი, მისთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად, ივალალებენ სვავნი მყივარნი“ და სხვ. ყველა ეს მეტი პროზაიზმია და აფუჭებს მთელის შთაბეჭდილებას!!. უკაცრავად, მკითხველო, შემდეგი სიტყვები ქართულად ვერ გადმოვთარგმნე, რადგან არ მესმის, და რუსულად მომყავს:

„Обращаясь къ общему тону даннаго стихотворенія, должны сознаться, что **элегиность** (sic!) его обставлена чрезвычайно смутнымъ кругомъ мыслей: ничего ясно не разберешь, что гнететъ поэта, что устремляетъ его къ небытію, къ полному признанію, что ничтожна цѣнность міра сего, не способенъ онъ вдохнуть въ усталую грудь и измученную тоской душу новую эергію, свѣжую струю силы“.

რას იტყვი, მკითხველო: იფიქრებდი როდისმე, რომ გამოჩნდება კრიტიკოსი და იტყოდა: ბარათაშვილის „მერანის“ მეორე ნახევარი პროზაა და არა ნამდვილი პოეზიაო? მე კი ჩემს დღეში ვერ ვიფიქრებდი, რომ ეს მოხდებოდა. რა ეჩვენა „მერანში“ ბ-ნ კრიტიკოსს „смутнымъ кругомъ мыслей“. იქნება ჰგონია, რომ პოეზია უნდა იყოს მისებური „разсужденіе“ შესავალით, მოთხრობით და დასკვნით? პოეზია გახლავთ სურათებით აზროვნება და იქ სილლოგიზმებს ვერა ნახავთ. ვისი ბრალია, რომ კრიტიკოსი დახელოვნებული არა ბრძანდება მხატვრობის ენის გაგებაში.

ჩვენ არ გამოვუდგებით ქიმის მტკიცებას, რომ „მერანი“ დაწერილია კერძო შემთხვევისთვის და იქა ჰპოვებს თავის ახსნას. ეჭვი არ არის, რომ „მერანი“ ამასთან პოეტის სულის მდგომარეობას ხატავს და ამ მხრივათაც ლექსში არ მოიპოვება არავითარი ნაკლი.

პოეტი აღფრთოვანდა. იგრძნო გოლიათის ძალა და სურს გადაიაროს „ბედის სამზღვარი“. არასოდეს არა ყოფილა პოეტი მისი მონა და არც ეხლა ეშინიან იმის ბასრისა. ფრთებ შესხმულ მერანზე პოეტი მიფრინავს წინ, იქ, სადაც ვერ ნახავს „მუხთალს, დაუნდობელს სოფელს“, რომელიც დასჩხავის ყორანივით და უკან მისდევს. პოეტმა იცის, რა მოელის „განწირულის სულის კვეთებას“. იცის, რომ შორეული ვარსკვლავი მოითხოვს მისგან დიდ მსხვერპლს — მის თავს, დათმობას მისგან ყოველისავე იმისა, რაც მისთვის საყვარელი იყო დედამიწაზე. პოეტმა იცის ეს, სევდით ევსება გული, მაგრამ მისწრაფება უფრო ძლიერია. პოეტი სთმობს ყველაფერს, გულს იქავებს. ერთი იმედი-ღა ანუგეშებს პოეტს და ძალას აძლევს მის ფრთებს:

„...ჩემს შემდგომად მოძმეს ჩემსა სიძნელე
გზისა გაუადვილდეს
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის
წინ გამოუქროლდეს“.

აი მდაბიო ენით აწერილი პოეტიური სურათი, რომელიც დახატულია საოცარის სიმძლავრით „მერანში“, მაგრამ ბრძენ კრიტიკოსს ვერ გაუგია მდაბიო ენა პოეზიისა. საბრალო ბარათაშვილო! რა ტლანქი ხელი ეხება შენს უკვდავ პოეზიას! **ჩ.**

შუამდგომლობა. მასწავლებელნი აღნიშნავენ სკოლების მოუწყობლობას, რამაც მოსწავლეთა გაფიცვა გამოიწვია, და საჭიროდ ჰცნობენ შემდეგ ცვლილებებს: 1. საქალაქო სკოლის პირველ ოთხ კლასის კურსი ისე უნდა შეიცვალოს, რომ მოსწავლეთ შეეძლოთ უეგზამენოთ საშუალო სკოლების შესაფერ კლასებში გადასვლა. 2. საპედაგოგიო საბჭოს მიენიჭოს სრული დამოუკიდებლობა სწავლა-აღზრდის საქმეში; 3. ხაზინამ მეტი ფული გადასდოს სასწავლებლების სხვა და სხვა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ამ შუამდგომლობაზე ხელი უწერია 43 კაცს.

◆ ამასწინად მოხდა შეერთებული **კრება სახალხო კითხვათა სექციებისა.** კრებას უნდა გამოერკვია დამოკიდებულება სექციებისა გამგეობასთან და ერთმანეთთან. ამ საკითხის განხილვამდე კრებამ გაიცნო და მოიწონა რუსულ სექციის პროგრამა სახალხო კითხვების შინაარსის შესახებ. მერე ლაპარაკი ჩამოვარდა სექციების წევრთა არჩევასა და დამოკიდებულების შესახებ. ქართულ სექციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, ჯერ საჭიროა მოხდეს საზოგადო კრება, გამოირკვეს რა პროგრამის შესრულება დაევალება გამგეობას, აგრეთვე რა უნდა გააკეთონ სექციებმა და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება სექციების წევრთა არჩევანიო. კრებამ მიიღო ეს წინადადება და დაადგინა, დანიშნოს 10 ნოემბრისთვის საზოგადოების წევრთა კრება. ამ დროსათვის სექციებმა უნდა შეადგინონ სამოქმედო პროგრამის პროექტები.

◆ **ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსად**, ინჟ. ივანოვსკის ნაცვლად, როგორც ოფიციალურ გაზეთს გაუგია, ინიშნება რემონტის ნაწილის უფროსად ნამყოფი ინჟ. ი. აკორონკო.

◆ ერთი **ახირებული** და **უცნაური ამბავი მოხდა** ამ დღეებში. ველიამინოვის ქუჩაზე, იუზბაშევის საკანდიტეროში მსახურებს კახელი იოსებ ბერიშვილი, რომლის ცოლიც, ბაგინოვის ქალი, ტომით სომეხია. ბერიშვილს ვაჟიშვილი ჰყოლია და ამ დღეებში მართლმადიდებელთა სარწმუნოების წესით მონათვლა განუზრახავს. დაუმზადებია ყველაფერი და ის იყო ნათლიისათვის უნდა შეეტყობინებინა, რომ დღისით საკანდიტეროში მასთან შესულა ორი უცნობი სომეხი. ამათ უთქვამთ, ჩვენის „კომიტეტის“ გადაწყვეტილებით ნება არა გაქვთ თქვენი შვილი მართლმადიდებელ სარწმუნოების წესით მონათლოთ, რადგან ცოლი ტომით სომეხიაო. გაკვირვებულს ბერიშვილს უპასუხნია, ჩემს ცოლს სრული ნება აქვს თავის სარწმუნოებაზე მტკიცედ იდგეს, ხოლო შვილს ისე მოვნათლავ, როგორც მე მინდაო. ბერიშვილს ნათვლა ვერ მოუხერხებია, რადგან ნათლია ვერ უნახავს. ოთხი დღის შემდეგ ეს ვაჟბატონები ხელმეორედ მისულან და უთქვამთ, გიმეორებთ, კომიტეტის გადაწყვეტილება შეასრულოთ. ყოველ შემთხვევაში შვილი მოუნათლავი დასტოვეთ და როცა გაიზრდება, თვითონ აირჩევს სარწმუნოებასაო.

◆ როგორც მკითხველებმა იციან, **გლეხთა მოძრაობის გამო**, თუ ყველგან არა, ბევრგან მაინც დაიკეტა სოფლის სკოლები, განსაკუთრებით ისინი, რომელსაც სოფელი ინახავდა. გორის მაზრაში, მაგალითად, გლეხების ხარჯზე, სხვათა შორის, ინახებოდა წინარეხის და ხელთუბნის სასოფლო სკოლები. ორივე სკოლის შესანახად გლეხები იხდიდნენ წელიწადში 820 მანეთს. აღნიშნულ ხარჯს 1904 წლამდის უკლებლივ აძლევდნენ, ხოლო ეს მეორე წელიწადია სრულიად შეუწყვეტიათ. მთავრობას განკარგულება მოუხდენია, ამ სკოლებში აღდგენილ იქნას ძველი წესი.

◆ სიღნაღის მაზრის სოფელს ჯუგაანში გლეხებმა აარჩიეს შვიდის კაცისაგან შემდგარი კომისია. კომისიას დაევალა **მოაწესრიგოს დამოკიდებულება მრევლსა და მღვდელს შორის**. რადგან აწ არსებული გადასახადები მღვდლის სასარგებლოდ (მაგ. კოდის პური და სხვა) ჰბადებენ დიდ უსიამოვნებას, ამიტომ ზემოხსენებულმა კომისიამ და მთელმა სოფელმა ხელშეკრულება დაუდეს ორის ეკკლესიის კრებულს, ამიერიდან, კოდის პურისა და სხვა გადასახადის ნაცვლად, ამორჩეულ კაცების ხელით აძლიონ გადაწყვეტილი რაოდენობა ჯამაგირისა.

◆ 4 ამ თვეს ჟანდარმთა აფიცერმა **ფოთში დაატუსაღა** ერთი ყმაწვილი. ეჭვი მიიტანეს პროპაგანდისტიაო. მეორეს ბინაზე იპოვნეს ასოთ გარდამსხნელ ქარხნის ანგარიში ერთ აქაურ მესტამბის სახელზე. თვითონ ეს ყმაწვილი შინ არ იყო და ჯერაც არ ჩამოსულა. იმ დღესვე დილით სალდათების ყაზარმაში დააპატიმრეს კიდევ ერთი ყმაწვილი. ამბობენ, სალდათებს პროკლამაციას უკითხავდაო.

◆ სოფელ წყალტუბოში (იმერეთი) ამას წინად **მოჰკლეს იოსელიანი**, რომელიც გლეხთაგან ღალას იღებდა. როცა გლეხებთან ანგარიში გასწმინდა და მიღებულ ღალის წაღება დააპირა, იოსელიანთან მივიდა ადგილობრივი მცხოვრები ყვიცარიძე და უთხრა, ღალა შენ-კი არა, მე მეკუთვნის, რადგან მიწა ჩემიაო. ამ საგანზე ლაპარაკი მოსვლიათ და ყვიცარიძეს იოსელიანი შემოჰკვდომია.

◆ **ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორას** თავისუფალი თანხა ჰქონია 242,000 მანეთი. ეს ფული პეტერბურგში ყოფილა შენახული და შემდგარა საქართველოს ეკკლესიის სინოდის ხელში გადასვლის შემდეგ იმ ფულიდან, რომელიც ყოველ წელს გადაუნარჩუნებიათ. იმერეთს ასეთივე საეკლესიო ფული ჰქონია 19,700 მანეთი. ესეც პეტერბურგში ინახება. ეხლა სინოდს წინადადება მიუცია კანტორისთვის, ამ ფულიდან შეავსოს, თუ ვინიცობაა არდაზიანის ქონება არ აუვა, სვეტი-ცხოვლის სასარგებლოდ შეკრებილი და არდაზიანის მიერ გაფლანგული 87,000 მანეთი.

◆ 30 სექტემბერს საგუბერნიო ექიმის თანაშემწე მაჭავარიანი სიღნაღის მაზრის სოფელ ქვემო მაჩხაანში იყო ადგილობრივ **საავადმყოფო-ქსენონის სარევიზიოდ**. ექიმმა მაჭავარიანმა დიდი უწესოება და დაუდევრობა აღმოაჩინა ქსენონის მართვა-გამგეობის საქმეში. შეკრებილმა საზოგადოებამ ერთხმად აღიარა, რომ უნდა მოისპოს აწ არსებული ბიუროკრატიული წესი მართვა-გამგეობისა და მთელი გამგებლობა ქსენონისა ხალხის მიერ არჩეულ კაცთა ხელში გადავიდესო. ამასთან დასძინეს, მხოლოდ ამ შემთხვევაში გავიღებთ ფულს საავადმყოფოს შესანახადაო.

◆ **კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლოს** თავმჯდომარედ დაინიშნა ციმბირის სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარე გენერალ-ლეიტენანტი შჩერბოვიჩ-ვეჩორა.

◆ **ნამესტნიკის კანცელარიის ვიცე-დირექტორს მაქსიმოვს**, „ვოზ.“-ს სიტყვით, ვიცე-გუბერნატორად ნიშნავენ შიდა რუსეთში. ადიდებენ ამავე კანცელარიის შტატს ოთხ საგანგებო საქმეთა მოხელის მომატებით.

◆ თავ. აკაკი წერეთელს ნება დაერთო გამოსცეს **ქართულად ყოველ კვირეული იუმორისტული გაზეთი „ხუმარა“**. გაზეთი გამოვა მომავალ წლის პირველ იანვრიდან.

◆ როგორც ტფ. ქალაქის მთავარ ბუხჰალტერის ცნობებიდანა სჩანს, შარშან **ქალაქს შემოსვლია** 1,741,241 მან. 43 კ., წელს-კი მოსალოდნელია მხოლოდ 900,000 მანეთი. 1906 წლის 1 იანვრისათვის ქალაქს 1,825,007 მან. 78 კაპ. ვალი ექნება.

◆ ტფ. ქალაქის გამგეობამ ქალაქის დუქნების საქმეთა სალიკვიდაციოდ ანგარიშების გასწორება მიანდო გამგეობის წევრს პ. ნ. კოგაჩაევს. კოგაჩაევმა განუცხადა გამგეობას, დუქნების შემოსავალ-გასავლის საქმე ისეა აწეწილ-დაწეწილი, რომ შეუძლებელია რამის გაგება. ამიტომ საჭიროა ანგარიშები დუქნების კომისიას გადაეცეს შესასწორებლადაო.

◆ ბორჩალოს მაზრის ვორონცოვის სოფლის საზოგადოებაში 1904 წლის ნოემბრიდან ამ წლის აპრილის გასვლამდის საქონლის ჭირი მძვინვარებდა. საგუბერნიო მთავრობამ რამდენიმე ბეითალი გაგზავნა. ბეითლებს ჭირიანი საქონელი მთელ საზოგადოებაში დაუხოციათ 201 სული. ეხლახან უმაღლეს მთავრობას განკარგულება მოუხდენია, დახოცილ საქონლის პატრონებს დირებული ფასი მიეცეთ.

◆ პოლიციის მე-7 ნაწილში, თავის დუქანში, იაკობ ეგიევმა რევოლვერი ესროლა მარტინ მერვილოვს, როგორც ამბობენ, ჯიბგირს, და სასიკვდილოდ დასჭრა. მერვილოვი მალე გარდაცვლილა. ამათ რაღაცზედაც უსიამოვნება მოსვლოდათ და მერვილოვი ბებუთით გამოსდევნებია ეგიევს, რომელსაც რევოლვერისათვის მიუმართავს.

◆ ტრამვაის დირექტორმა აცნობა პოლიცმეისტერს, რომ ელექტრონის ვაგონებზე მგზავრთა შორის ხშირად უბედურება ხდება, რადგან უადგილობას ყურადღებას არ აქცევენ და ყოველთვის მრავლად აწყდებაო. პოლიცმეისტერმა დაავალა ბოქაულებს დახმარება აღმოუჩინონ ამ საქმეში კონდუქტორებს.

◆ ამას წინად ზუგდიდის მაზრაში გაძარცვეს ებრაელი აჯიაშვილი. ამ გაძარცვაში ეჭვი მიიტანეს ბანძის მცხოვრებ რისიაზე, რომელიც წარსულის თვის დამლევს ბანძაში დაბინავებულმა პოლიციის დარაჯებმა შეიპყრეს. შეპყრობის მეორე დღეს რისიამ გაქცევა დააპირა, ეს დარაჯებმა შეიტყეს და თოფის სროლა ასტეხეს, რომლის დროს რისია მოჰკლეს.

◆ ახალქალაქის მაზრის პირველ განყოფილების მომრიგებელი შუამავალი ფურცელაძე ავადმყოფობისა გამო დროებით სამსახურს დათხოვია. იმის თანამდებობის აღსრულება საგუბერნიო მთავრობას დაუვალებია იმავე მაზრის მეორე განყოფილების შუამავლისათვის.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ „ცნობის ფურცლის“ ახალ ამბებში რამდენიმე შეცდომა შეპარულა. მეოთხე ამბავში დაბეჭდილია: „როგორც კავკავიდან გვატყობინებენ, კავკავის რკინის გზის **მეორე** სადგურზე დიდი უწესოებანი მოუხდენიათ ჯარის-კაცებს“. უნდა იყოს: „ბევრ სადგურზე“. მეხუთე ახალ ამბავში დაბეჭდილია: „აღიძრა საკითხი ამიერ-კავკასიაში ეგრედ წოდებულ ურთიერთ თავმდებობის მოსპობის“ შესახებ უნდა იყოს: „მოწყობის შესახებ“.

ქუთაისის ამბები

◆ ბანოჯის აგარაკში, ქუთაისის მახლობლად, სამხედრო უწყებას მიზომილი აქვს დიდი ადგილი, სადაც ჯარი სროლაში ვარჯიშობს. უმეტესი ნაწილი ამ ადგილებისა, როგორც შეკრებილ ცნობებიდანა სჩანს, კერძო საკუთრებას შეადგენს. სხვათა შორის ბანოჯელ გლეხების საკუთარი მიწაც მიუზომეს ამ ოთხი წლის წინად სამხედრო უწყებას და დღემდის ბანოჯელებს არაფერი მიუღიათ სამაგიეროთ. 9 ამ თვეს ბანოჯელ გლეხების წარმომადგენელნი იყვნენ ქუთაისის გუბერნატორთან და შემდეგი თხოვნით მიმართეს: 4 წელიწადია 87 დესეტინა გამოგვართვეს 25 კომლ გლეხს და იმ თავითვე დაგვპირდნენ, რომ თითო დესეტინაზე 17 მანეთი ფული მოგეცემათო. თუმცა ასეთი სასყიდელი მცირე იყო, მაგრამ რას ვიზამდით! აგერ ოთხი წელიწადი გავიდა, მეხუთეში გადავდექით და ერთი კაპეიკი არ მიგვიღია. ამ ოთხი წლის განმავლობაში ფულის მიღების მოლოდინში ნაყიდ სიმინდით ვსაზდოობთ, რადგან იმ მიწების გარდა, ჩვენ სხვა ადგილი არა გვაქვს. კომისიები ბევრჯელ იყო დანიშნული ჩვენი თხოვნის გასარჩევად და დასაკმაყოფილებლად, მაგრამ დღემდის არა გვეშველა-რა და ეხლა თქვენა გთხოვთ, მფარველობა გაგვიწიოთ და შემწეობა აღმოგვიჩინოთ ფულის მიღებაშიო. გუბერნატორმა მაშინვე დაავალა მომრიგებელ შუამავალს თავ. დ. ნიჟარაძეს საქმის გარემოების გაგება, ხოლო გლეხებს აღუთქვა, საქმეს გამოვარკვევ და თქვენის კანონიერ მოთხოვნილებას დავაკმაყოფილებო.

◆ საადგილ-მამულო ბანკში რამდენსამე კაცს განცხადება შეუტანია. ესენი სწერენ, რომ ტფილისში დაარსებული განყოფილება ბანკისა დაწესებულებისთვის საზარალოა და ამ საგნის განსახილველად საგანგებო კრება მოიწვიეთო. იქნება მართლა განყოფილების არსებობა ბანკისთვის დღეს-დღეობით საზარალო იყოს, მაგრამ დღევანდელის ზარალით არ შეიძლება გაიზომოს განყოფილების ხვალინდელი სარგებლობა. ყოველ სავაჭრო საქმეს და ბანკების განყოფილებასაც პირველ ხანებში ზარალი მოსდევს, რომ შემდეგში სარგებელი მოიტანოს. უთუოდ ეს მოსაზრება ჰქონდა განყოფილების დამაარსებელთ მხედველობაში, როცა ეს საკითხი გადასწყვიტეს წლევანდელ საზოგადო კრებაზე.

◆ სექტემბრის დამლევს დამთავრდა ქუთაისის გიმნაზიაში დამატებითი გამოცდა იმ მოსწავლეთა, რომელთაც მაისში არ დაუჭერიათ გასათავებელი ეგზამენები. კურსი დაამთავრა სამმა მოსწავლემ: ალექსანდრე ჯაფარიძემ, ვასილ მაჭავარიანმა და სამსონ ჭეიშვილმა.

ორი სოფლის შეტაკება

7 ოქტომბერს ყარაჯალელი (ახატლელი) თათრები შეიარაღებულნი წავიდნენ ს. ფშაველის მცხოვრებ ქართველების წინააღმდეგ. დღეს, 8 ოქტომბერს, მოიტანეს ამბავი, რომ ამ ორ სოფლის მცხოვრებთა შორის უკვე მომხდარა შეტაკება და რამდენიმე კაცი მომკვდარა და დაჭრილა. თვით შეტაკების ამბავს ქვემოდ მოგითხრობთ. ეხლა-კი ორიოდე სიტყვას ვიტყვი ყარაჯალელ თათრების შესახებ.

როგორ და რაზედ აშენდა ამ ორ სოფელ შორის სამიწა-წყლო დავა? როგორ მოხდა, რომ სწორედ იმ სოფლელებს შორის არის დავა, რომელთაც მდინარე ალაზანი ჰყოფთ?

შიგნით კახეთში ერთად-ერთი სოფელია თათრებით დასახლებული. ესენი აზნაურ მგალობლიშვილების ხიზნებად ითვლებიან. ყარაჯალელი თათრები შაჰ-აბასის დროს არიან დასახლებულნი და ბევრი ცვლილება განუცდიათ. წარსულ საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში ახატლელ თათრების საქმე იყო ჩოდრობა და თელავსა და ტფილისს შუა მგზავრებისა და ტვირთის გადაზიდ-გადმოზიდვა. არც ერთი 40 წლ. კახელი არ იქნება, თუ ტფილისს ყოფილა, რომ ახალურ თათრის ფალნიან ცხენზედ არა მჯდარიყოს. მამა-კაცობა უმრავლესობა ამ საქმეს ადგა, ამისათვის მრავალ ცხენს ინახავდა, უმცირესობა-კი ჩოდრობდა. მომეტებულად მუშა საქონელს ყიდულობდა სხვაგან და ჰყიდდა კახეთში. გომბორის გზა-ტკეცილის გაყვანამ ტვირთის გადაზიდვის და მგზავრების გადაყვან-გადმოყვანის საქმე შესცვალა. ფალნიან ცხენების ადგილი დაიჭირეს ფურგუნებმა და დილიჟანებმა. სანამ ეს მოხდებოდა, თათრები ნაკლებად მისდევდნენ ხვნა-თესვას, ამიტომ სახნავ-სათესი ცოტა უნდებოდათ და კმაყოფილდებოდნენ მგალობლიანთ მამულით. ხვნა-თესვა არც ისეთ შემოსავალს აძლევდათ, როგორც ჩოდრობა, ტვირთის და მგზავრების გადაზიდ-გადმოზიდვა.

ამასთან დედაკაცობა მათი ხურჯინების საცალოების და ფარდაგების ქსოვით მამაკაცებზედ ნაკლებს არა შოულობდა. ყველა ამან თათრები ფულიანებად გადააქცია. ფულს მათაც ისეთი დანიშნულება მისცეს, როგორიც ჰქონდა თანამედროვე დროში, ე. ი. დაუწყეს გასესხება გირავნობით. რადგან დაგირავება ვენახებისა როგორღაც მათ სარწმუნოებრივ შეხედულებას არ ეთანხმებოდა, დაიწყეს დაგირავება სახნავ მიწებისა. ს. ფშაველი ქ. თელავზედ დაშორებულია; თუ მგზავრი ალაზანში არ გავა, ხიდზე გასვლას მოინდომებს, 37 ვერსი უნდა გაიაროს. ახატლელი, რომელიც წყალს შეჩვეულია, ნახევარ საათს გავა ფშაველში. ამნაირად ალაზნის ერთ მხარეს არიან ს. ფშაველის მცხოვრებნი, მოკლებულნი ღონისძიებას ქ. თელავში ან შეშის, ან ფიჩხის, ან ბალახის გატანით ფული იშოვნონ, მეორეს მხრივ, ალაზან გამოღმა არიან თათრები, რომელთაც მუდამ ფული აქვთ ჯიბეში, ამავე ფულის სარგებლით ნაშოვნი აქვთ პური, ქერი და სხვა სულადი.

ს. ფშაველის მცხოვრებლებს აქვთ სახნავ-სათესად სახელმწიფო მიწა, რომელიც უხსოვარ დროიდანვე დაყოფილი ჰქონიათ. აი ეს მიწები აუდიათ გირაოთ ვალში, ან სხვადასხვა სულადში, რასაკვირველია, შინაურ ხელწერილებით. როცა თათრების ცხოვრების ნირი შეიცვალა გომბორის გზატკეცილის გაყვანით, იძულებულნი გახდნენ საქონლის გაშენების გარდა, ხვნა-თესვას შესდგომოდნენ. უფრო მეტი ყურადღება მიაქციეს ფშაველის მამულებს, უფრო მეტად იგირავებდნენ, ან სადალოთ იღებდნენ, უფრო მეტი სივრცე ჩაიგდეს ხელში. როცა მიწის პატრონი მოითხოვდა ხოლმე მიწის დაბრუნებას, აჩუმებდნენ, დრო დროს მისდევდა წელსაწადი წელიწადსა, სრულდებოდა ათეული წელიწადისა, რაც კანონით საკმარის ვადად ითვლება სხვისა მამულის დასაკუთრებლად, მაშინ-კი უკვე აღარ ჰმალავდნენ დასაკუთრების სურვილს. ბოლოს საქმე სასამართლოში შევიდა. ფშაველებმა სასამართლოში საბოლოოდ მოიგეს საქმე. გეგმაც გაიტანეს და ეს რამდენიმე წელიწადია სახელმწიფო ხარჯსაც იხდიან წელიწადში 1400 მანეთზე მეტს.

თქმა არ უნდა, მამული, რომლისთვისაც სისხლი უკვე დაღვრილა და მომავალში უფრო მოსალოდნელია, რომ მეტი დაიღვრება, ეკუთვნის ს. ფშაველის მცხოვრებლებს. მამული სოფ. ფშაველის აგარაკშია და გამიჯვნის დროს არავითარი დავა არ განუცხადებიათ თათრებს. საქმე ის არის, რომ მიწის მფლობელობის შესახებ მომქმედი კანონ-დებულება იმ თავითვე არ შეესაბამება ხალხის შეხედულობას ამავე საგანზედ. ეს შეუთანხმებლობა კანონ-დებულებისა და ხალხის შეხედულებისა მიწის მფლობელობა მესაკუთრეობაზედ ყველგან და ყოველთვის ჰბადებს ათასნაირ დაჩაგვრას და უსამართლობას, თუ სამართლიანობას არ გავზომავთ იმ მომქმედ კანონ-დებულებით, რომელიც ხალხს თავზედ ძალადა აქვს მოხვეული.

ამას კიდევ ერთი უცნაურობა სხვა ემატება, როცა საქმე სახელმწიფო მიწებს შეეხება. რაკი დავა ამ მიწებზედ ასტყდება, სათანადო დაწესებულება გაჰგზავნის კი თავის მოხელეს, მაგრამ არც ნამდვილ ცნობებს შეჰკრებს ხოლმე და არც დაასაბოლოვებს საქმეს. ამისი მაგალითი ათასობითაა ქიზიყის სოფლებში, ათასობითაა აქ, ზემო კახეთშიაც. რას მიაწეროს კაცმა ამ დაწესებულებისაგან ამნაირად საქმის გაძღოლა, ძნელი სათქმელია...

ძალიან ცუდ დროს მწვავდება ეს საქმე. მართალია, წმიდა აგრარული საქმეა, მართალია, აქ ხალხთა შორის დამოკიდებულებას არა აქვს ადგილი, მართალია, სულ ორ სოფლის მცხოვრებთა შორის არის განხეთქილება, მაგრამ მაინც სამწუხაროა, რომ ახლა ხდება, მით უმეტესად სამწუხაროა, რომ სათანადო დაწესებულება ისევ იმ პოლიტიკას დაადგება: ჯერ არ გამოჰგზავნის თავის დროზედ მოხელეს და როცა გამოჰგზავნის, არას გააკეთებინებს. მანამდის კი ეს ორი სოფელი უფრო და უფრო დაიგეშება ურთი-ერთის წინააღმდეგ და შეიძლება სხვა სოფლელნიც ჩაერივნენ საქმეში ორივეს მხრივ. თუმცა შიგნით კახეთში, როგორც ვსთქვი, მარტო ერთი სოფელია თათრებისა, მაგრამ გარეთ კახეთში ბევრი სოფლებია რომლებთანაც ახატლელებს დიდი დამოკიდებულება აქვთ.

ახლა მოგითხრობთ თვით შეტაკების ამბავს. როგორც ჯერ-ერობით გამოირკვა, საქმე ასე მომხდარა.

7 სექტემბერს ს. ყარაჯალაში კომლზე კაცი დაუძახნიათ. ვინც არ გამოდიოდა, ჯარიმას ახდევინებდნენ, შეიარაღებულან და ცხენებით წასულან ალაზნისაკენ. ამათ შეხვედრია ბ-ნი ყაზახაშვილი, რომელსაც ეჭვი აუღია, საკეთილოდ არ მიდიანო, გამოუკითხავს, გაუგია მათი მიზანი და დაუწყია რიგება. ბევრის ლაპარაკის შემდეგ თათრებს უთქვამთ, კარგი, ჩვენ კაცებს ავირჩევთ, წაიყვანე მაზრის უფროსთან, ეს საქმე ჩქარა დაბოლოვდეს, თორემ მეტი მოცდა აღარ შეგვიძლიანო. მხოლოდ ვიდრე ჩვენი კაცები დაბრუნდებიან, აქვე მოვიცდითო. არჩეული კაცები და ყაზახაშვილი მაზრის უფროსთან წასულან საჩქაროდ და ყველაფერი შეუტყობინებიათ.

როგორც ამბავი მოვიდა, ფშაველებსაც სცოდნიათ თათრების განზრახვა, თითქმის მთელი სოფელი ბოლოზე ყოფილა და თუ თათრები გადავიდოდნენ, იარაღითვე მოუნდომებიათ თავიანთ მარჩენელ მიწის დაცვა. მაგრამ რადგან თათრები ალაზანს აღარ გადასულან, ისევ სოფელში დაბრუნებულან. მხოლოდ სოფლის ბოლოზე კი გუთნები ჰქონიათ შებმული, უხნავთ და მარტო მხვნელნი დარჩენილან. თათრებს მაზრის უფროსთან წასულ კაცებისათვის აღარ მოუცდიათ, გადასულან გაღმა, დასცემიან მშვიდობიან მომუშავეთ და დაუწყიათ თოფების სროლა და იარაღის ტრიალი. თათრები ცხენებით ყოფილან, რიცხვით 300-ზე მეტი; ფშაველი ქართველები კი ჯერ ერთი ძლიერ ცოტანი ყოფილან და მეორე—კიდევ საჭრეების მეტი არაფერი გააჩნდათ თურმე. თათრებს უთარეშნიათ, მერე გამობრუნებულან უკან, თან საქონელი დაურეკიათ, მწყემსებიც წაუყვანიათ და გუთნებიც წაუღიათ. ფშაველში გაიგოთ თუ არა ეს ამბავი, მთელი სოფელი, სქესის განურჩევლად დიდი და პატარა, იქითკენ გაქცეულა, მაგრამ ვეღარ მიუსწრიათ. მაზრის უფროსისაგან გაგზავნილი ყაზახებიც მაშინ მისულან, როცა თათრები უკვე ალაზანს გამოღმა გადმოსულიყვნენ.

დაცემა მსწრაფლ მოუხდენიათ, რომლის შედეგად აღმოჩენილა ორი მოკლული, ორი დაჭრილიც გარდაცვლილა და რამდენიმე დაჭრილია. ამას გარდა თათრებს უცემიათ კიდეც, მხოლოდ ერთისათვის მკლავი მოუჭრიათ. თათართაგან არავინ დაშავებულა. სურათი მეტად ამაღელვებელი ყოფილა; როცა მოკლულები და დაჭრილები სოფელში აუტანიათ, გაისმა ცოლშვილთა წივილ-კივილი, მწუხარება, და დაჭრილთა გოდება.

თათრებს გუთნები და საქონელი ისევ უკან დაუბრუნებიათ და მწყემსებიც გაუნთავისუფლებიათ. ეხლა იმ ადგილას ყაზახები დაუყენებიათ, რომ კიდევ უბედურება არ მოხდესო.

კახელი.

შავი-ქვის მრეწველთა კრება

30 სექტემბერსაც კრებამ სარევიზიო კომისიის მოხსენების განხილვა განაგრძო.

გ. ფ. ზდანოვიჩი შეეხო მე-17 მუხლის შენიშვნის განმარტებას, რომელიც დაშავებულ მუშების დაჯილდოებას შეეხება. თავმჯდომარემ შეაწყვეტინა სიტყვა და სთქვა, ამის შესახებ სჯა-ბაასი ვიქონიოთ მაშინ, როდესაც მუშების საკითხის შესახებ გვექნება ლაპარაკიო. კრებამ მიიღო ეს წინადადება. ა. გამრეკელმა განაცხადა, რადგან საბჭოს საკმაო თანხა არა აქვს, რომ მუშები, თანახმად 2 ილისს გამოცემულ კანონისა, უზრუნველ ჰყოს, საჭიროა ეხლავე შუამდგომლობა გაიგზავნოს სამინისტროში საფუთო შემოსავლის გადიდების შესახებ, რათა ამ კრებაზედვე ვიქონიოთ სჯა-ბაასი ამ საგანზეო. კრებამ მიიღო ეს წინადადება.

შემდეგ კრება შეუდგა სარევიზიო კომისიის შენიშვნის უკანასკნელ მუხლის განხილვას, რომელიც შეეხება საბჭოს საამშენებლო ნაწილის გაუმჯობესებას.

დიდი კამათი გამოიწვია სამრეწველო გზების გაკეთებამ. როგორც განაცხადეს, საბჭო ამა თუ იმ გზის კეთებას ჯერ შეუდგებოდა, შემდეგ-კი ადგილების პატრონებთან მართავდა მოლაპარაკებას. ამას ხშირად ის მოსდევდა, რომ ადგილის პატრონნი ასი მანეთის ალაგას ათასობით თხოულობდნენ. კრებამ დაადგინა: ამიერიდან საბჭო ჯერ ადგილების პატრონებს შეუთანხმდეს და მერე გზების კეთებას შეუდგესო.

მცირე კამათის შემდეგ დასრულდა ანგარიშის განხილვა.

კ. მოდებაძე შეეხო საბჭოს მოქმედებას და, სხვათა შორის, სთქვა: ყველა ჩვენი შუამდგომლობა შეწყნარებული არ არის. ჩამოვთვლი ზოგიერთს. საბჭოს ტარიფის დაკლების შესახებ ვერაფერი გაუკეთებია, თუმცა ამ საქმისათვის არა ერთი და ორი დეპუტაცია გაგვიგზავნია. დაშავებულ მუშების 70 საქმეში დასასრული მარტო სამ საქმეს მისცემია. ჩვენი შუამდგომლობა რკინის გზის საბჭოში ჩვენი წარმომადგენლის ყოლის შესახებ არ შეუწყნარებიათ; არ შეუწყნარებიათ აგრეთვე ჩვენი შუამდგომლობა იმ ფულის დაბრუნების შესახებ, რომელსაც რკინის გზა უსამართლოდ გვახდევინებს ეგრედ წოდებულ „ზედ მეტ წონისას“. რაც შეეხება აბანოს, იგი 120 ათასი მანეთად დაჯდა, მიღების შემდეგ არ გასულა ერთი თვე და სახურავის გადაკეთება დაგვჭირდა და სხვა. შეცდომა მართალია მოუვა კაცს, მაგრამ ეს შეცდომა უნდა მიიღოს იმან, ვინც იგი ჩაიდინა. აბანოს სხვა ნაკლულევანებაც აქვს, სითბო საკმაოდ არ არის. რაც შეეხება სამკითხველოს, ქუთაისში არ ვიცი და ჭიათურაში კი გარდა იმისა, რომ არავითარ წიგნის ხსენება არ არის, გაზეთებიც არ მოდის თავის დროზე. სახალხო თეატრი ცუდ ალაგას არის მოთავსებულიო და სხვა.

ი. აბაშიძემ პასუხი უგო და, სხვათა შორის, აღნიშნა, რომ იყვნენ ლიდერები წარსულ კრებებზე, როგორც, მაგალ., ბ-ნი ემერიკი, რომლის შუამდგომლობამაც ვერაფერი გვიშველა, როგორც ვერაფერი გვიშველა ფოთის ქალაქის თავის ბ-ნ ნიკოლაძის შუამდგომლობამ. ჩვენ საქმეს სამინისტროში სამთო დეპარტამენტის თავმჯდომარის აზრმაც ვერ უშველა. ამისათვის იმის თქმა, რომ საბჭოს არაფერი გაუკეთებიაო, ცილის წამება არის. თუ საქმის მსვლელობას აფერხებდა რამე, ამისი მიზეზი გამეფებულ ბიუროკრატიულ რეჟიმში უნდა ვეძებოთ.

გ. ფ. ზდანოვიჩი. ვფიქრობ, ბ-ნი მოდებაძე იმას ვერ იტყვის, რომ ზდანოვიჩს წერა არ შეუძლიან, შუამდგომლობის საქმე კარგად ვერ დააყენა და ამისთვის უარი გვითხრესო. ჩვენი შუამდგომლობების პირი ანგარიშშია მოქცეული და ყველას შეუძლიან გაშინჯოს და დასდოს მსჯავრი. უკეთუ თქვენის ლიდერის, ყველაფრის შემძლებელის, როგორც თქვენ უწოდეთ, შუამდგომლობამ ვერაფერი გაარიგა, რა უნდა გვექნა ჩვენ, როდესაც სამინისტროში იმისთანა ავტორიტეტების აზრს, როგორიც არის სამთო დეპარტამენტის თავმჯდომარე, გასავალი არა ჰქონდა და ვიღაც გაფსელდ-ნარიშკიებს კი უჯერებდნენ. მიუხედავათ ამისა, როგორც სამინისტროში მითხრეს, შავი ქვის გასაზიდი ტარიფი დაკლებული იქნება, ხოლო მაშინ, როცა შავი ქვის გადაზიდვა შემცირდება. დანარჩენ ჩვენ შუამდგომლობების შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ მეცადინეობას არ ვაკლებდით, მაგრამ შეუძლებელს ვერ შევძლებდი. რაც შეეხება აბანოს, უნდა მოგახსენოთ, რომ იჯარა რჩებოდა იმაზე, ვინც ნაკლებ ფასს შემოგვაძლევდა. ჩვენ არა გვაქვს უფლება, ვინმეს თავის მოქალაქეობრივი უფლება წავართვათ. მგონი, არ არის კუთხე დატოვებული, სადაც აბანოს შესახებ საჩივარი არ გაგვეგზავნოთ. აბანოს შესახებ სამინისტროშიაც-კი მკითხეს: აბანო თქვენ გააკეთეთო? ამისათვის აბანოს შესახებ არას ვიტყვი. ამბობენ, ჭიათურის სამკითხველოში წიგნები არ არისო. მე დიდი ხანია განვაცხადე, შეადგინოს ხუთმა კაცმა სია წიგნებისა და მეც იმ წიგნებს გამოვიწერდი. თუ თქვენ ეს არ შეასრულეთ, რა ჩემი ბრალია. შემეძლო გამომეწერა, მაგრამ ვაი თუ დაგეწუნებინათ და გეთქვათ, ზდანოვიჩი იმ წიგნებს გვიგზავნის, რომელიც ხალხს არა სურსო. თეატრი არ ვარგაო—ამბობენ. თქვენი ამორჩეული ადგილი ის არის, მგონი, სათეატრო კომისიაში ბ-ნი მოდებაძეც იღებდა მონაწილეობას, ესეც არ იყოს, მომეცით, ბატონებო, შეძლება და სასახლეს აგიშენებთ.

როგორც იქნა, კამათს მიეცა დასასრული და კრება მეორე დღის 11 საათისათვის გადაიდო.

სასამართლო

ბაქოს გუბერნატორის თავ. ნაკაშიძის მოკვლის საქმე.

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

კამათი დამცველთა და ბრალმდებელთა შორის დაიწყო ნაშუადღევის ოთხ საათსა და 25 წუთზე. ბრალმდებელმა ივანოვმა სთქვა: ჩემ „ბრალდებას უმთავრესად ვაფუძნებ მოწმეთა ქერბალაისა და ალალის ჩვენებაზე. მართალია დამცველები ბევრს ეცადნენ, რომ ჩირქი მოეცხოთ ამ მოწმეებისთვის, მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ მათმა მეცადინეობამ ფუჭად ჩაიარა. ამ მოწმეებმა ნათლად აღწერეს მკვლელობის ვითარება. ამათვე და შემდეგში სტრელკოვმა და ლევინმა იცნეს მკვლელებად—სასამართლოს სკამზე მჯდომარე ბრალდებულნი. რაც შეეხება მოწმე თუმანიანცის ჩვენებას, რომ აგასანიანცი ყუმბარის აფეთქების დროს ჩემთან იყოო—ეს აიხსნება იმითი, რომ თუმანიანცსა და სხვებსაც სურთ დაიფარონ აგასანიანცი, როგორც თავიანთი მეგობარი. ბრალდება ხუთთავეს შესახებ სრულიად დამტკიცებულია და მე ვთხოვ სასამართლოს მიუსაჯოს ბრალდებულთ უმაღლესი სასჯელი—მიუსაჯოს მათ ჩამოხრჩობით სიკვდილი“. ბრალმდებელმა 50 წუთი ილაპარაკა.

ვექილი ხარუდნი. მოჰკლეს თუ არა თავადი ნაკაშიძე, 15 წუთის განმავლობაში მთელი პოლიცია ფეხზე დადგა. გამოძიების თანდათანობა—სიფაქიზე თხოულობდა, რომ პირველ ყოვლისა ჩვენება ჩამოერთმიათ თავ. ნაკაშიძის მეეტლე მეშადი-ოღლისათვის. ასეც მოიქცნენ, მაგრამ ბრალმდებელმა არ ინება ეს ჩვენებაც წაეკითხნათ. ეს მოწმე პირველ თავის ჩვენებაში ამბობს, რომ კუშნარევის მაღაზიის წინ ოთხი კაცი იდგა და ერთმა მათგანმა, რომელსაც სტუდენტის ქუდი ეხურა, ყუმბარა გადმოაგდოვო. მთავრობა მოვალე იყო ამ კვალს დასდგომოდა. ბოქაული მამედბეგოვი პირველი პოლიციელი იყო, რომელიც ყველაზე უწინ მოვიდა მკვლელობის ადგილზე, მაგრამ ბრალდებულთაგან ვერც ერთი ვერ გამოიცნო. მკვლელობის მეორე დღიდან გაჩნდნენ ახალი მოწმენიც. ნიკ. სტრელკოვი და სხვანი. 11 მაისს მოხდა მუშათა დიდი ყრილობა. პოლიციას უნდა ესარგებლნა ამ შემთხვევით და გუბერნატორის მკვლელები აღმოეჩინა. აი, მოდის პოლიციასთან სტრელკოვი და ეუბნება: ხატისოვის ქარხანაში ერთი საეჭვო მუშა არისო. პირველად სტრელკოვი პოლიციას არ ეუბნება—„ამ მუშამ აღიარა გუბერნატორი მე მოვკალიო“, თორემ განა წარმოსადგენია, რომ პოლიცია მაშინვე თავზე არ დასცემოდა? საქმიდან არც ისა სჩანს, რომ მეირაბოვი სტრელკოვის ჩვენებით დაეტუსაღებინოთ. იგი დაატუსაღეს გენ.-გუბერნატორის მოწერილობით. სხვა ცნობები არ არის. სტრელკოვი ამბობს, რომ მეირაბოვს ყრილობაზე ფაფახი ეხურაო, აღმოჩნდა კი, რომ ფაფახი მაკარ ტერ-აირაპეტოვს ჰხურებია, რომელიც დაატუსაღეს, მაგრამ მალევე გაანთავისუფლეს.

ბ-ნნო მსაჯულნო, მოწმენი სტრელკოვი, ლევინი, ქერბალაი და ალალი ჯეროვანად დაფასებულ უნდა იქმნენ. მათ დასაფასებლათ მე აღვნიშნავ ზოგიერთ უპირულობას: სტრელკოვმა სთქვა: ორის საათის წინად საერთო ყრილობამდის, როდესაც ჯერ სულ ოცი კაცი იყო თავმოყრილი; მეირაბოვმა დაწვრილებით აღიარა მკვლელობის ამბავი; სთქვა, რომ მე მოვკალი გუბერნატორიო და მერე დავიმალენითო. რევოლიუციონერიც ასეთი უნდა! მე ვამტკიცებ, რომ ეს ტყუილია. სად არის აქ ლოღიკა, თვითდაცვის გრძნობა? რევოლიუციონერები საქმის აღსრულებას ამისთანა კაცებს არ მიანდობდნენ.

მოწმე ქერბალაი უჩვენებს, რომ ბოროტ-მოქმედნი ყუმბარით ხელში ქუჩაში დარბოდნენ და იძახდნენ „ბუნტი იქნება, ბუნტიო“! განა ეს შესაძლებელია? რატომ ამას არ უკვირდება ბ-ნი ბრალმდებელი? ახლა ცოტა რამეს მოგახსენებთ ამ მოწმეთა ყოფა-ქცევის შესახებაც: იგინი ყოველ ღონესა ღონობდნენ—სასამართლოში არ გამოცხადებულიყვნენ, იმალებოდნენ და მხოლოდ სასამართლოს ენერგიულ ზომებს უნდა დავუმადლოთ, რომ დატუსაღებულნი მოიყვანეს. არა, ბატონებო, ეს რაღაც „ახირებული და განსაკუთრებული“ მოწმენი არიან! მე დიდის ნდობით ვეკიდები მეეტლის მეშადი-ოღლის ჩვენებას: „ყუმბარა გადმოაგდო სტუდენტის ქუდიანმა კაცმაო“. ამასვე ამოწმებს ბოქაულად ნამყოფი შანშიევი, რომელსაც ესმოდა თურმე ხალხში ნათქვამი: „ყუმბარა სტუდენტმა გადმოაგდოვო“. აი, ის გარემოება, ბატონებო, რომელიც საქმის ვითარებას სავსებითა სცვლის. ბრალმდებელმა ბრალდებულთ საზარელი განაჩენი წაუკითხა—სიკვდილით დასჯა, მოწმე ალალიმ უთხრა დამნაშავეთ—„სასამართლომაც რომ გაგამართლოთ, სულ ერთია ჩვენ მაინც გასწორდებითო“. საქმე იმაში კი არ არის, რომ მაჰმადიანები ამათ გაუსწორდებიან. საქმე იმაშია, რომ ალალიც კი დარწმუნებულია, რომ სასამართლო ბრალდებულთ გაამართლებს. დიაღ, სასამართლომ უნდა გაამართლოს იგინი და მათ ალალისთანებს ამცნოს, რომ რუსებს მართლა რომ სამართალი ჰქონიათ.

ვექილი ტერ-მიქელიანცი. ბრალმდებელი ამტკიცებს: ეს მკვლელობა სომეხ რევოლიუციონერთა პარტიის ბრალიაო. საქმიდან სჩანს, რომ თავ. ნაკაშიძეს სიკვდილი სოციალ-რევოლიუციონერთა პარტიამ გადაუწყვიტა, რომლის წევრებიც სხვადასხვა ეროვნებისანი არიან, რაც დაამტკიცა სასამართლოს წინაშე ჟანდარმთა როტმისტრმა მოლჩანოვმა, ნუ თუ ეს პარტია იმისთანა დიდი საქმის აღსრულებას ამ ბავშვს—აგასანიანცს მიანდობდა? გარდა ამისა, დამტკიცებულია ისიც, რომ ყუმბარის აფეთქების დროს აგასანიანცი თუმანიანცთან ყოფილა სადილად და მაშასადამე აგასანიანცის „ალიბი“ ეჭვს გარეშეა.

ბრალმდებელმა აღნიშნა, რომ სომეხთა და თათართა შორის მტრობაა გამეფებულიო. ეს მართალია, რასაც ამტკიცებს ის გარემოება, რომ აქ ფიც ქვეშ ყალბი ჩვენება მისცეს მაჰმადიანებმა ქერბალაიმ და ალალიმ...

თავმჯდომარე აწყვეტინებს: ჯერ სასამართლოს მსჯავრი არ დაუდგია, ცრუ მოწმენი არიან ისინი თუ არა!

ვექილი ტერ-მიქელიანცი. ეს მოწმეები დამცველებს ექცევიან უზრდელად და უკმეხად. მათი მოპყრობა, მათი მოქმედება ნათელს უნდა ჰყოფდეს ყველასათვის, რომ მათი ჩვენება ნდობის ღირსი არ არის. გთხოვთ ყველა ბრალდებულნი გაანთავისუფლოთ.

ერგნელი.

წერილები.

ფოთი. ამ უკანასკნელ ხანებში ერთნაირი ქურდობა თურმე გამოიგონეს ზოგიერთმა ვაჟბატონებმა. როგორც ამბობენ, გაუკეთებიათ რკინის გზის ბეჭედი, რომლითაც თავის ნება-სურვილზე ხსნიან და ბეჭდავენ საქონლის ვაგონებს. რასაკვირველია, უმეტეს ნაწილად მანუფაქტურას ეწყობიან, თუმცა ჩაისა და ამგვარ საოჯახო ნივთებსაც არ აკლებენ ხელს. გზაში, როცა საბარგო ვაგონები სადგურებზე დიდის ხნობით დგანან, ან არა და ისე მოხელთებულ დროს გახსნიან ვაგონს, გამოიტანენ რაც უნდათ და ხელახლავ ფეჩატს დაარტყამენ ისე, რომ ვერავინ შენიშნავს. ამგვარად მივა ვაგონი დანიშნულ ადგილზე, და იქ აღმოჩნდება ხოლმე ბოროტმოქმედება. ამ დღეებში ჭალადიდის ახლო მდებარე ტყეებში რკინის გზის აგენტმა ბ-ნმა სიკორსკიმ, რამდენისამე ჯარის კაცისა და ჟანდარმების თანხლებით, დაიწყო ძებნა და სწორედ ამ ტყეში აღმოაჩინა კიდეც რამდენისამე ათასი მანეთის სამანუფაქტურო საქონელი. ამას, რასაკვირველია, მოჰყვა საერთო ჩხრეკა, ისე, რომ ბევრი ოჯახი გაჩხრიკეს. უმეტესად შეაწუხა ამ ამბავმა ქალები, რადგან, მოგეხსენებათ, სასიამოვნო არ არის ოჯახის არევ-დარევა უცხოთაგან... ნამდვილი ქურდი, რა თქმა უნდა, ძნელი აღმოსაჩენია, ხოლო უდანაშაულო ადამიანი-კი ბევრი შეაწუხა ამ საქმემ. ნამდვილი ბოროტ-მოქმედი კიდეც რომ აღმოაჩინონ, მაინც თავს დაიძვრენენ, რადგან ფული ამ ჩვენს დროში არა თუ ანათებს ჯოჯოხეთს, სამოთხეთაც-კი აქცევს. კარგი იქნება, ენერგიულ ზომებს მიიღებდნენ ქურდთა აღმოსაჩენად.

დროებით ფოთელი.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

თქვენს პატივცემულ გაზეთის მე-2915 ნომერში, „ქუთაისის ახალ ამბებში“ მოთავსებულია შემდეგი, ჩემის აზრით, შემცდარი ცნობა. იმ ადგილას, რომელიც მოგვითხრობს ნიკოლაიშვილის დაჭერის ამბავს, ნათქვამია: „ნიკოლაიშვილი შეამოწმებინეს ექიმებს; ამათის აზრით ნიკოლაიშვილს ბეჭებსა და მხრებზე რომ ზოლები აქვს, ფულის სკივრი რომ მხარზე ედო, იმის ნიშანიაო.“ არ ვიცი, კიდევ რომელ ექიმებს შეამოწმებინეს ბ-ნი ნიკოლაიშვილი, მაგრამ როგორც კი დაიჭირეს ეს ყმაწვილი, პროკურორმა და ბოქაულმა პირველად მე მიმიწვიეს პოლიციის ნაწილში, რადგან იქვე პირდაპირ ვცხოვრობ, და მთხოვეს შემემოწმებინა ახლად შეპყრობილი ნიკოლაიშვილი. მეც დაწვრილებით ავწერე ის დაბეჟილი ადგილები, რომელიც ბ-ნ ნიკოლაიშვილს აღმოაჩნდა და გამოვიყვანე შემდეგი დასკვნა: პირველი ის, რომ ნიკოლაიშვილს ჰქონდა დაბეჟილი სხეულის სხვა და სხვა ნაწილი რაღაც ჩლუნგის იარაღით. მართალია, გადაჭრით არ მითქვამს მათრახებით და თოფის კონდახებითაა ნაცემი ნიკოლაიშვილი მეთქი, რადგან როგორ გინდათ დაამტკიცოთ ჯოხით არის კაცი ნაცემი, წნელით თუ მათრახით, როდესაც ყველა ეს იარაღი იწვევს ერთნაირ წყლულს. ამიტომაც იმ იარაღს, რომლითაც ნაცემია ნიკოლაიშვილი, მე მივეცი ზოგადი სახელი: „ჩლუნგი იარაღი“, რადგან ამ გვარ იარაღის აღსანიშნავად ეს ტერმინი გვაქვს მიღებული საექიმო მეცნიერებაში. მეორე—მე აღვნიშნე ის გარემოება, რომ ეს ადგილები ჰქონდა დაბეჟილი ნიკოლაიშვილს არა უადრეს რამდენიმე საათისა (მაქსიმუმ თორმეტის საათისა), ნიკოლაიშვილი კი მესამე თუ მეოთხე დღეს დაიჭირეს. აქედგან ნათლადა სჩანს, რომ ჩემი დასკვნა ნიკოლაიშვილის შესახებ სრულიად ეწინააღმდეგება თქვენს გაზეთში აღნიშნულ დასკვნას.

ექიმი გრიგოლ ნასარიძე

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 10 ოქტომბერი. გაიფიცნენ სტამბებში მომუშავენი, სასტუმროების და კერძო სახლების ხელზე მოსამსახურენი.

11 ოქტომბერი.

პეტერბურგი, 10 ოქტომბერი. აკადემიის შეერთებულ მოღვაწეებს განზრახვა აქვთ გაიჩინონ თავიანთი საკუთარი ორგანო, რომელიც უმაღლესის სკოლის ინტერესებს დაიცავს. სამხედრო-საექიმო აკადემიის კონფერენციამ დაადგინა, იშუამდგომლოს ცალკე შენობის მიცემაზე აკადემიის გარეშე მიტინგების გასამართავად. რკინის გზის სახელოსნოებში პრეობრაჟენსკი პოლკის ლეიბ-გვარდიის ერთი როტა მუშაობს.

იურიდიულ საზოგადოებას კრება ჰქონდა საერო განათლების მინისტრის მიერ წარდგენილ წინადადებაზე; მინისტრმა წინადადება მისცა საზოგადოებას თავის წესდებაში შეეტანა მუხლი, რომლის ძალით მას ნება ექნებოდა ყოველთვის დაეხურა საზოგადოება. კრებამ დაადგინა, უკუაგდოს წინადადება მინისტრისა, როგორც უკანონო, ვინაიდან ყოველი საზოგადოება ექვემდებარება კანონს და ადმინისტრაციის ძალმომრეობას არ შეუძლია დახუროს იგი.

10 ოქტომბერს პროფესსორმა ჰენსსენმა აუარებელ ხალხის თანადასწრებით შესანიშნავი ლექცია წაიკითხა უნივერსიტეტის საკითხის შესახებ, შეუკავშირა იგი ისტორიულ პირობებს და თამამი რწმენა გამოსთქვა, რომ ახლო მომავალში თავისუფალ ქვეყანაში მეცნიერებასაც აეხსნება ბორკილიო.

9 ოქტომბერს საექიმო პერსონალის პირთა კავშირის კრებაზე ლიგა დაარსდა, რომელიც იბრძოლებს სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

10 ოქტომბერი

ადესა, 10 ოქტომბერი. უნივერსიტეტში ყველა ფაკულტეტზე იწყება მეცადინეობა.

ოტავა. მთავრობამ ხელახლა დაადო „ვეტო“ ბრიტანიის კოლუმბიაში იმ კანონს, რომელიც იაპონელებს უკრძალავდა კოლუმბიის ტერიტორიაზე გადასვლას.

პარიზი. ლუბე და რუვიე მადრიდს წავიდნენ.

რომი. პაპიმ სწირა და 200 მლოცველი მიიღო, მიუხედავად იმისა, რომ ექიმებმა აუკრძალეს. პაპი გახდა და დაჭანცული სახე აქვს. მას ცოტათი გული სტკივა, რაც, ექიმების სიტყვით, საშიში არაა.

უმანი. აღარ იღებენ ტვირთს შემდეგ სადგურებზე: ელისავეტგრადს, ტაგანჩას, ბოგდანოვსკას, მოტოლოვსკას, კალარაშსა და ლუცკზე.

ყაზანი. უნივერსიტეტში ყველა ფაკულტეტზე დაიწყო მეცადინეობა.

ბელოსტოკი. გაიხსნა მუშებისა და მოსამსახურეების ურთი-ერთ შორის დამზღვევი საზოგადოება.

მოსკოვი, 10 ოქტომბერი. ნიკოლაევსკი გზაზე მოსკოვის მხრიდან მიმოსვლა შეაჩერეს გაფიცულმა მუშებმა. უკანასკნელი მატარებელი 4-ის ნახევარზე გავიდა.

მოსკოვს მატარებლების მოსამსახურის 80 ბრიგადა გამოიწვიეს.

სიმფეროპოლი, 10 ოქტომბერი. შესწყდა მიმოსვლა სევასტოპოლის გზაზე.

კალუგა. შესწყდა მიმოსვლა სიზრან-ვიაზემსკისა, მოსკოვ-კიევ-ვორონეჟისა და რიაზან-ურალსკის გზების გაფიცვის გამო. გაზეთები არ გამოდის.

ნიჟნი-ნოვგოროდი, 10 ოქტომბერი. მესამე დღეა, რაც მოსკოვიდან ამბები ვერ მოდის.

ხარკოვი, 10 ოქტომბერი. დღეს გაიფიცნენ ადგილობრივი რკინის გზები. სამსახურის არც ერთი ნაწილი არ სწარმოებს.

პერმი. დაიხურა სემინარია.

როსტოვი-დონზე, 10 ოქტომბერი. ქუჩებში გუნდ-გუნდათ დადიან ნოქრები და ძალათ აკეტინებენ ადებს მაღაზიებს. პოლიცია არ ერევა. დიდი არეულობა არ მომხდარა. ეს მეორე წელიწადია, რაც ნოქართა საკითხს არჩევს აქაური საბჭო და ჯერ კიდევ ვერა გადაუწყვეტია-რა.

ყაზანი. რკინის გზით მოგზაურობა შეწყვეტილია გაფიცვის გამო.

ეკატერინოსლავი. ყველა საშუალო სასწავლებელში სწავლა ადკვეთეს მოსწავლეებმა. გაიფიცნენ ეკატერინინის გზის ყველა მოსამსახურეები და მუშები. მიმოსვლა შეწყვეტილია.

11 ოქტომბერი.

პეტერბურგი. გაზეთების ცნობითა და აგრეთვე პეტერბურგის ადმინისტრატიულ წრეებში გავრცელებულ ხმებით, ამ დღეებში უდიადეს მნიშვნელობის პოლიტიკურ აქტს გამოაქვეყნებენ, რომელიც სახელმწიფო სათათბიროს უფლებების გაფართოვებას შეეხება. სახელმწიფო სათათბიროს ახალი რწმუნებანი დასავლეთ-ევროპის კონსტიტუციონურ ქვეყნების ამგვარსავე დაწესებულებებს დაამგზავსებს მას.

გრაფ სოლსკის კომისიის უკანასკნელ კრებაზე წინადადება იქნა შეტანილი, რომ, სანამ მინისტრთა კაბინეტი დაარსდებოდეს, საჭიროა მთავრობამ გამოაქვეყნოს, თუ რა გზით იმოქმედებს იგი მომავალში, საზოგადოებას გააცნოს მისი მომავალ მუშაობის პროექტი; ეს მით უფრო საჭიროა, რომ პრესსა თვის აზრს გამოსთქვამს პროექტის შესახებ, აღნიშნავს მის ღირსება—ნაკლულოვანებას და ამით საშუალებას მისცემს მთავრობას თვისი პროექტი შეუთანხმოს საზოგადოებრივ აზრსა და ამით დაამტკიცოს. რომ იგი არამც თუ ყურს უგდებს საზოგადოების ხმას, არამედ იმის სურვილებსაც კი ეგებება. ამან დიდი კამათი გამოიწვია. უმრავლესობა თანახმა იყო ამ წინადადებისა, მაგრამ ორი წევრი ძლიერს წინააღმდეგობას აცხადებდა, რას მიქვია საზოგადოების ყურის დაგდება, ან მინისტრთა კაბინეტის დაარსება, ამით ხომ ძირი ეთხრება თვითმპყრობელობის პრინციპსო.

მოსკოვი. 5 ათასი კაცი სამის მხრით მიადგა ნიკოლაევსკი ვოკზალს; აქ წინ ჯარი გადაეღობა, მაგრამ შემოუარეს მოსკოვს ორის ვერსტის მანძილზე, 15 ორთქლ-მავალი ორთქლიდან დასცალეს, ერთს რეგულიატორი გაუხსნა და ლიანდაგზე გაუშვეს. ორთქლ-მავალი დაეჯახა ლიანდაგზე მდგომ საქონლის მატარებლებს და რამდენიმე ვაგონი დაამტვრია. ხალხმა დაჰგლიჯა ტელეფონის მავთულები, დაანგრია სიგნალიზაციები.

გაიფიცნენ 40 აფთიაქში მოსამსახურე ფარმაცევტები.

ვორონეჟი. რამდენიმე დღეა გაზეთები არ გამოდის გაფიცვის გამო.

ეკატერინოსლავი. რკინის-გზის სადგურს და ქალაქის ტელეგრაფს სალდათები ყარაულობენ.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

10 ოქტომბერი.

პეტერბურგი. სენ-მიხელსკის გუბერნატორი გენერალი ვატაცი ინიშნება კიევის გუბერნატორად, კიევისა-კი კოსტრომისად.

ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საბჭოში მოხსენება შეაქვს სოფლელებისთვის გადასახადის ტვირთის შემსუბუქების შესახებ. ამ მოხსენებას დაუყოვნებლივ განიხილავს საბჭო.

სტავროპოლსა და პირლევოს შორის ჩაიძირა სამოლეთის გემი „ტურგენევი“.

მოსკოვი, 10 ოქტომბერი. ნიკოლაევსკი გზაზე მშვიდობიანობაა. პეტერბურგიდან მოვიდა მსწრაფლი მატარებლით გენ.-გუბერნატორი დურნოვო, რომელსაც ესაუბრნა გზათა მინისტრთან გაფიცვების შესახებ და მათ წინააღმდეგ ზომების მიღებაზე. ამავე საგანზე თათბირი აქვს გზათა მინისტრს გზების უფროსებთან.

ხერსონი. შესდგა საორგანიზაციო კრება ხერსონში დასავლეთ-ევროპის უნივერსიტეტების ტიპის სახალხო უნივერსიტეტის დაარსების შესახებ. აირჩიეს ბიურო.

მიტავა, 10 ოქტომბერი. დღეს გენ.-გუბერნატორმა 5 ათასი მანეთით დააჯარიმა ორი ვოლოსტი ამ ვოლოსტების საზღვრებში რკინის გზის ლიანდაგისა და ტელეგრაფის მავთულების გაფუჭებისთვის

პეტერბურგი. დაადგინეს, მიეცეს ტამბოვისა, პენზისა, რიაზანისა, სარატოვისა და ტულის საგუბერნიო საკრებულოებს პურის სესხად 500 ათასი მ. თითოს. ამას გარდა სარატოვის საგუბერნიო ერობას მიეცეს საქონლისთვის საკვების შესაძენად 3 მილიონი და საზოგადო სამუშაოების გასამართავად 650 ათასი მ., ვორონეჟისა და ზემლიანსკის სამაზრო ერობებს—100 მ. თითოს. ხოპერის ოლქის ნაკაზნი ატამანის განკარგულებაში პურის გაყიდვის მოსაწყობად და სათესლე მასალის შესაძენად გადაიცემა 11203 მ. დამტკიცებულ იქმნა კოსტრომის საგუბერნიო საკრებულოს დადგენილება ვარნავინის სამაზრო ერობისთვის პურის სასყიდლად 60 ათას მანეთის მიცემის შესახებ.

ბერლინი. ვოლფის სააგენტოს სიტყვით, გერმანიის ელჩი პეტერბურგში ალვენსლებენი დათხოვნილ იქნება სამსახურიდან შავის არწივის ორდენით. მის ადგილზე ინიშნება კოპენჰაგენის ელჩი შენი.

ბაქო, 10 ოქტომბერი. ღამით, სადგ. ალიათიდან 12 ვერსტის მანძილზე ყაჩაღები დაეცნენ ყაზახ-რუსების რაზმს და მოჰკლეს 7 და დასჭრეს ერთი.

გენ.-გუბერნატორი აცხადებს, სამრეწველოები სრულიად საკმაოდ არიან დაცული და ფირმებს შეუძლიან დაუყოვნებლივ შეუდგნენ მუშაობას სრულის უშიშრობითო.

მოსკოვი, 10 ოქტომბერი. გუშინ, ღამის 2 საათზე, ფარმაცევტთა კრებაზე მივიდა პოლიცია და კრების შეწყვეტა მოითხოვა, რაც შესრულებულ იქნა. ფარმაცევტების გაფიცვა გადაწყვეტილია პრინციპიალურად, მაგრამ საერთო თანაგრძნობა არაა. გუშინ ერთი აფთიაქი გაიფიცა, დღეს ორი.

პეტერბურგი. პოლონეთში სახელმწიფო სათათბიროსთვის წარმომადგენელთა არჩევის დამატებითი წესები წარედგინა უმაღლესად დამტკიცებისთვის.

სადგურს სალდათები იცავენ. ხელოსნებისა და ნოქრების გაფიცვას მოელიან. მატარებლების მიმოსვლა შეწყდა, ტრამვაი გააჩერეს. გაფიცულია რკინის გზის ტელეგრაფი. ვოკზალი და ხიდი ბნელშია გახვეული, მეეტლეები ცოტაა.

სარატოვი. გაიფიცნენ გზის სამმართველოს ყველა ნაწილში მოსამსახურეები.

მოსკოვი. ქალაქის მუშებმა დაადგინეს, სამშობლოს დაწყნარება შეუძლია მხოლოდ მუშების ყველა მოთხოვნების დაკმაყოფილებასო. საღამოს მერვე საათზე გაფიცულმა ფარმაცევტებმა აიძულეს ყველა მოსამსახურეებს განებებინათ აფთიაქებისთვის თავი. მეაფთიაქეები იძულებული არიან, უარი უთხრან წამლების მსურველთ. ზოგიერთი აფთიაქი დახურეს კიდეც.

კოზლოვი, 10 ოქტომბერი. დღეს პირველ საათზე რკინის გზის აუარებელმა მუშამ დაუარა ქალაქს და მოითხოვა მუშაობის შეწყვეტა და შკოლების დახურვა, რაც დაუყოვნებლივ იქნა ასრულებული სიტყვები წარმოითქვა. რკინის გზის სახელოსნოებში მუდამ დღე ყრილობები იმართება.

სარატოვი. მოუწოდეს გაფიცულ მოსამსახურეების წარმომადგენელთ შეთანხმების მოსახდენად.

სიმბირსკი. საბჭოში პოლიტიკური დემონსტრაცია გაიმართა ტრუბეცკოის სულის მოსახსენებლად გარდახდილ პანაშვიდის შემდეგ.

11 ოქტომბერი.

პეტერბურგი. პეტერბურგის არხეოლოგიურ ინსტიტუტის საბჭო შუამდგომლობს საერო განათლების მინისტრის წინაშე, ინსტიტუტს ნუ მიენიჭება უმაღლეს სასწავლებლებისათვის ბოძებული ავტონომია, რადგანაც ეს ინსტიტუტი სასწავლო კი არა, სამეცნიერო დაწესებულებააო. საერო განათლების სამინისტროში ამუშავებენ პროექტს თათრებისა, კალმიკთა, ყირგიზთა, სარტთა, ბურიატთა, ბაშკირთა და სხვათა დაწყებით შკოლების მოწყობის შესახებ. იმავე სამინისტროს განზრახვა აქვს, დააკმაყოფილოს უნივერსიტეტების საბჭოების შუამდგომლობანი სემინარიელების უნივერსიტეტებში მიღების შესახებ. ჯერ სამინისტროს მოუვიდა მხოლოდ ხარკოვის უნივერსიტეტის შუამდგომლობა. ამ საკითხის გარდაწყვეტა გადაიდება უნივერსიტეტის, სასულიერო სემინარიისა, და გიმნაზიის განახლებამდე.

პეტერბურგი. 9 ოქტომბერს გამოიცა უმაღლესი ბრძანება. განთავისუფლდნენ სასჯელისაგან ყველა ის სამხედრო-ტყვე-იაპონელები, რომელთაც გარდაწყვეტილი ჰქონდათ რამე სასჯელი ჩადენილ დანაშაულობისთვის. ფოსტების მთავარი სამმართველო აცხადებს, თუმცა ყოველი ღონისძიება იქნება ნახმარი კორესპონდენციების დროზე ჩაბარებისთვის, მაგრამ მაინც ძლიერ დააგვიანდება ფოსტა საერთო გაფიცვების გამო.

მოსკოვი, 10 ოქტომბერი. უნივერსიტეტის რექტორად აირჩიეს პროფესსორი მანუილოვი.

მოსკოვ-ბრესტის გზაზე მატარებლები მოდიან, მაგრამ წასვლით-კი ვერ მიდიან ვერც მოსკოვ-კიევ-ვორონეჟის გზისა და ვერც პავლეცის შტოზე. მოსკოვი სრულიად მოწყვეტილია ამჟამად.

კიევი, 10 ოქტომბერი. მოსკოვ-კიევ-ვორონეჟის გზაზე დღეს არც ერთი მატარებელი არ დადიოდა. პოლტავის გზაზე მატარებლები მიდიან მხოლოდ დარნიცამდე. არც ხარკოვ-ნიკოლაევსკი გზიდან მოსულა დღეს მატარებლები.

ხარკოვი, 10 ოქტომბერი. მატარებლების მიმოსვლა შეჩერებულია. ქუჩებში ხალხი აყენებს ცხენის რკინის გზის ვაგონებს და ეტლებს.

ელისავეტგრადი. ხარკოვიდან მატარებელი არ მოსულა. ადესიდან ხარკოვს მიმავალი მატარებელი აქ სდგას.

სარატოვი. გაიფიცა რიაზან-ურალსკის გზა.

მადრიდი. მოვიდა ლუბე.

ლვოვი. სოციალ-დემოკრატებმა დიდებული დემონსტრაცია გამართეს საყოველთაო საარჩევნო უფლების სასარგებლოდ. დეპუტაციამ ნამესტნიკს მოთხოვნა გარდასცა საყოველთაო, თანასწორ და პირდაპირის საარჩევნო უფლების შემოღებაზე.

მოსკოვი. გზათა მინისტრი მსწრაფლი მატარებლით პეტერბურგს წავიდა.

ბელგრადი. უნივერსიტეტის სტუდენტებმა შემუშავეს რეზოლიუცია უნივერსიტეტის წესდების წინააღმდეგ და გარდასწყვიტეს, არ მივიდნენ ლექციებზე სანამ, მათ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებენ.

პეტერბურგი. სამთო ინსტიტუტის დირექტორად აირჩიეს პროფესსორი მოსკოვის სამეურნეო ინსტიტუტისა ფედოროვი. მეცადინეობა წესიერად სწარმოებს.

ხარკოვი, 10 ოქტომბერი. გაიფიცნენ კურსკ-სევასტოპოლისა და ხარკოვ-ნიკოლაევსკის გზაზე მოსამსახურეები და მუშები. მატარებლები მახლობელ სადგურზე გააჩერეს. მიმოსვლა აღიკვეთა. ვაგზალს ჯარი ყარაულობს. ქუჩები გაჭედილია ხალხით. არ მუშაობს ტრამვაი, მაღაზიებს ჰკეტავენ, მოედნებზე კავალერიაა მზად, „იუჟნი კრაი“-ს რედაქციაში სულ ჩაღეწეს ფანჯრები,

სუმი, 10 ოქტომბერი. გაიფიცნენ რკინის გზის მოსამსახურეები.

ეკატერინოსლავი, 10 ოქტომბერი. გაფიცვა დაიწყო საათის ორზე შემოსავალთა ნაწილში და ყველა ნაწილებს მოედო, გადავიდა დეპოსა და ტელეგრაფში. ტელეგრაფი გააფუჭეს, მანქანები, ორთქლმავალები გააჩერეს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ზ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1905 წლის ივლისის ოციდან ტფილისში მუდმივად იცხოვრებს ამა ბანკის დირექტორი, დამფასებელ კომისიის წევრი და მამულების გამგე.

ყოველისავე საქმის წარმოება ტფილისის გუბერნიაში სოფლის და ქალაქების დაგირავებულ, თუ დასაგირავებელ მამულების შესახებ სახელდობრ: სესხის გაცემის თხოვნების მიღება, დოკუმენტების განხილვა და წესიერად გამოწყობა, დაფასება მამულებისა, ანგარიშის გასწორება გამგეობისაგან სესხის გადაწყვეტის შემდეგ, სავალდებულო გადასახადების მსესხებელთაგან მიღება, ვადამდის სესხის მოსპობა, ჩვეულებრივი საჯარო ვაჭრობა იმ მამულებზედ, რომლის სავალდებულო გადასახადები არ იქნება შემოტანილი, ბანკის მამულების მართვა-გამგეობა, მათი იჯარით გაცემის და გაყიდვის თაობაზედ მოლაპარაკება და დამტკიცება მყიდველის სახელზედ, მოწყობილი იქნება ტფილისს, ქუთაისის ბანკის დირექტორის ვ. ნ. აბულაძის სადგომზედ, ოლგას ქუჩაზე № 4/a, კნეინა დიასამიძის სახლში. ტელეფონი № 445. (წ.)

კბილებს

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ. № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ მოკლეებს იაფად. (30—3).

ახლად კურს დამთავრებული

ტფილისის ქალაქის საპროფესსიონალო სასწავლებელში, კისრულობს ასწავლოს

ჭრა-კერვა

სუფთა ხელ-საქმე და ამზადებს ატესტატზედ. ქუთაისი, ივანოვის ქ., ექ. ჯანაშვაძის სახ. **მ. ყიფიანისა.** (15—389—7)

Дозволено цензурою, Тифлисъ, 11-го октября, 1905 г.

მსწრაფლმბეჭდავი „წიგნების გამომც. ქართვ. ამხ.“-სა.